შპს GD Alco

ფინანსური ანგარიშგებები, მენეჯმენტის დასკვნა და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2019 წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით

2019 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლის ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცებასთან დაკავშირებით მენეჯმენტის პასუხისმგებლობის შესახებ

შპს GD ALCO

შინაარსი

ხელმძღვანელობის განაცხადი 31 დეკემბრით დაბოლოებული 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცების ვალდებულების შესახებ
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოგების ან ზარალის და სხვა ერთიანი შემოსავლის ანგარიშგება
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

1. ზოგადი ინფორმაცია
2. ახალი და გადასინჯული საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების გამოყენება
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება
4. კრიტიკული აღრიცხვის შეფასებები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას
5. შემოსავალი
6. გაყიდვების ღირებულება
7. ხარჯების განაწილება
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები
9. გრძელვადიანი ინვესტიცია
10. უფლებით სარგებლობის აქტივები და საიჯარო პასუხისმგებლობა
11. ინვენტარი
12. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები
13. ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები
14. საწესდებო კაპიტალი
15. კრედიტები
16. სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანება
17. ფინანსური ინსტრუმენტები
18. დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები
19. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები
20. ვითარება საანგარიშო პერიოდის შემდეგ
21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

მმართველობის ანგარიში ანგარიში

საწარმოს ბიზნესის განვითარება, ეფექტურობა და პოზიციები

საწარმოს სამომავლო განვითარების გეგმები

საწარმოს მიერ ჩატარებული კვლევებისა და შემუშავებების მიმოხილვა

საკვანძო არა–ფინანსური ინდიკატორის ანალიზები

ინფორმაცია საკუთარი წილების შესყიდვის შესახებ

საწარმოს კრედიტის, ბაზრის, ლიკვიდურობისა და ფულადი სახსრების რისკების და მექანიზმების მიმოხილვა მათი მართვის მიზნით

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, საწარმოს მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკების მართვის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად წარმოადგენს შპს GD Alco-ის („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და, ასევე, მისი ოპერაციების შედეგებს, ცვლილებებს კაპიტალში და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ დროისთვის დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (”ფასს”) შესაბამისად. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია მენეჯმენტის დასკვნის მომზადებაზე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შემდეგზე:

• სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად შერჩევა და გამოყენება;

• ინფორმაციის წარდგენა - სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი, სანდო, თავსებადი და გასაგები ინფორმაცია;

• დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება იმ შემთხვევებში, როდესაც ფასს-ში სპეციფიკური მოთხოვნების დაცვა არასაკმარისია იმისთვის, რომ მომხმარებლებმა გააცნობიერონ კონკრეტული ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;

• კომპანიის შესაძლებლობის შეფასება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეუძლია კომპანიას გააგრძელოს საქმიანობა;

• ხელმძღვანელობის დასკვნაში ინფორმაციის გამჟღავნება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

• ხელმძღვანელობის ანგარიშის მომზადება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია შემდეგზე:

• შიდა კონტროლის ეფექტური და გონივრული სისტემის შემუშავება, დანერგვა და შენარჩუნება კომპანიის მასშტაბით;

• ადექვატური სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება, რომლებიც საკმარისია კომპანიის ტრანზაქციების ასახვისა და განმარტებისთვის და რომელიც გონივრული სიზუსტით ამჟღავნებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას ნებისმიერ დროს და საშუალებას აძლევს უზრუნველყონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისობა ფასს-თან;

• საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;

• ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც გონივრულად არის მათთვის ხელმისაწვდომი კომპანიის აქტივების დასაცავად; და

• თაღლითობისა და სხვა დარღვევების პრევენცია და გამოვლენა.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამტკიცებულ იქნა ხელმღვანელობის მიერ 2020 წლის 24 ივნისს:

ხელმღვანელობის სახელით:

_____	_____
დავით ალავიძე	გიორგი დევიძე
გენერალური დირექტორი	ფინანსური დირექტორი
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო
24 ივლისი, 2020	24 ივლისი, 2020

შპს Deloitte & Touche
King David ბიზნეს ცენტრი
მერაბ ალექსიძის ქ. #12
თბილისი, 0171, საქართველო

ტელ.: +995 (32) 224 45 66
ფაქსი: +995 (32) 224 45 69
deloitte.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს GD Alco-ის მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

დასკვნა

ჩვენ შევამოწმეთ შპს GD Alco-ის ("კომპანია") ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე შემოსავლის შესახებ შესაბამის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას წლის ბოლოსთვის; დასკვნა, ასევე მოიცავს შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამებას (ერთობლივად - ”ფინანსური ანგარიშგება”).
ჩვენი აზრით, თანმხლები ფინანსური ანგარიშგება ყველა მატერიალური ასპექტით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, მის ფინანსური შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლის ბოლოსთვის საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (”ფასს”) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის (”ISAs”) შესაბამისად. ამ სტანდარტების მიხედვით ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენი დასკვნის ფინანსური ანგარიშგების ნაწილში - აუდიტის პასუხისმგებლობა. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან პროფესიონალი ბუღალტრებისთვის ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (”IESBA კოდექსი”) ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს შესაბამისად, და ჩვენს მიერ შესრულებულ იქნა სხვა ეთიკური პასუხისმგებლობები IESBA კოდექსის საფუძველზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და მიზანშეწონილია და წარმოადგენს ჩვენი დასკვნის საფუძველს.

Deloitte დასახელება მიემართება გაერთიანებული სამეფოს კერძო კომპანია Deloitte Touche Tohmatsu Limited-ის ერთ ან მეტ კომპანიას, რომელიც შეზღუდულია გარანტიით ("DTTL"), წევრ წევრი ფირმების ქსელს და მათთან დაკავშირებულ სუბიექტებს. DTTL და მისი თითოეული წევრი ფირმა წარმოადგენს იურიდიულად ცალკეულ და დამოუკიდებელ ერთეულს. DTTL (ასევე, წოდებული, როგორც "Deloitte Global") არ უწევს მომსახურებას კლიენტებს. გთხოვთ, ესტუმროთ www.deloitte.com/about, სადაც იხილავთ დეტალურ ინფორმაციას DTTL და მისი წევრი ფირმების შესახებ.

© 2020 Deloitte & Touche LLC. ყველა უფლება დაცულია.

თარგმანი დედანთან სწორია: /ნინო თოდრია/
Translation is identical to the original: /Nino TODRIA/

შპს Deloitte & Touche
King David ბიზნეს ცენტრი
მერაბ ალექსიძის ქ. #12
თბილისი, 0171, საქართველო

ტელ.: +995 (32) 224 45 66
ფაქსი: +995 (32) 224 45 69
deloitte.ge

მატერიალური გაურკვევლობა, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე პრობლემებთან

თანმხლები ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია გააგრძელებს მიმდინარე საქმიანობას. როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში იქნა განხილული, კომპანიას აღენიშნება უარყოფითი საბრუნავი კაპიტალი, პერიოდული ზარალი ოპერაციებიდან და ფულადი სახსრების უარყოფითი მოძრაობა ოპერაციებიდან. ეს მოვლენები ან პირობები, მე-3 შენიშვნაში მითითებულ სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს მატერიალური გაურკვევლობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის შესაძლებლობებში მისი საქმიანობის გაგრძელებასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობის გეგმები ამ საკითხებთან დაკავშირებით ასევე განხილულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს რაიმე ცვლილებას, რომლებიც შეიძლება ამ გაურკვევლობიდან გამომდინარეობდეს. ჩვენი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეცვლილა.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია შეიცავს ხელმძღვანელობის დასკვნას, რომელიც მომზადებულია „აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს.

ჩვენს მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შემოწმებასთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა გახლავთ გავეცნოთ სხვა ინფორმაციას და ამავდროულად განვიხილოთ, რამდენად შეესაბამება სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის მანძილზე მოპოვებულ ჩვენს ცოდნას, ან სხვაგვარად - რამდენად გამოიყურება იგი არსებითად არასწორად. თუ ჩვენი შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ სახეზეა ამ სხვა ინფორმაციის მატერიალური უზუსტობა, ჩვენ მოგვეთხოვება ვაცნობოთ ამ ფაქტის შესახებ.

Deloitte დასახელება მიემართება გაერთიანებული სამეფოს კერძო კომპანია Deloitte Touche Tohmatsu Limited-ის ერთ ან მეტ კომპანიას, რომელიც შეზღუდულია გარანტიით ("DTTL"), წევრ წევრი ფირმების ქსელს და მათთან დაკავშირებულ სუბიექტებს. DTTL და მისი თითოეული წევრი ფირმა წარმოადგენს იურიდიულად ცალკეულ და დამოუკიდებელ ერთეულს. DTTL (ასევე, წოდებული, როგორც "Deloitte Global") არ უწევს მომსახურებას კლიენტებს. გთხოვთ, ესტუმროთ www.deloitte.com/about, სადაც იხილავთ დეტალურ ინფორმაციას DTTL და მისი წევრი ფირმების შესახებ.

© 2020 Deloitte & Touche LLC. ყველა უფლება დაცულია.

თარგმანი დედანთან სწორია: /ნინო თოდრია/
Translation is identical to the original: /Nino TODRIA/

შპს Deloitte & Touche
King David ბიზნეს ცენტრი
მერაბ ალექსიძის ქ. #12
თბილისი, 0171, საქართველო

ტელ.: +995 (32) 224 45 66
ფაქსი: +995 (32) 224 45 69

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული გარანტია იმის შესახებ, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება, როგორც ერთი მთლიანი, თავისუფალი რაიმე არსებითი უზუსტობისგან თაღლითობის ან შეცდომის მიზეზით; ასევე, ჩვენი მიზანია გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული დაშვება წარმოადგენს დაშვების მაღალ დონეს, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ISA–ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს მატერიალურ უზუსტობას, როდესაც ის არსებობს. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და განიხილება არსებით უზუსტობად, თუ ინდივიდუალურად ან ერთობლივად შეიძლება გონივრულად მოახდინონ ზეგავლენა მომხმარებლების მიერ ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის ნაწილის სახით - ISA–ის შესაბამისად - ჩვენ მივმართავთ პროფესიონალურ განსჯას და პროფესიონალურ სკეპტიციზმს მთელი აუდიტის მანძილზე; ასევე, ჩვენ:

• ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური უზუსტობების რისკს - იქნება იგი წარმოშობილი თაღლითობისა თუ შეცდომის მიზეზით, შევიმუშავებთ და ვახორციელებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკების საპასუხოდ, და მოვიპოვებთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომელიც ჩვენი დასკვნისთვის წარმოადგენს საკმარის და მიზანშეწონილ საფუძველს. თაღლითობის შედეგად მატერიალური უზუსტობის გამოუვლინებლობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად გამომდინარე უზუსტობისა, რადგანაც თაღლითობაში შეიძლება შევიდეს შეთქმულება, გაყალბება, განზრახ უმოქმედობა, არასწორი ინტერპრეტაცია ან კონტროლის გაუქმება.

• აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის გააზრება, რათა შემუშავებულ იქნეს მოცემული გარემოსთვის შესაბამისი აუდიტის პროცედურები, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.

• გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობის და ხელმძღვანელობის მიერ წარმოებული სააღრიცხვო შეფასებისა და მასთან დაკავშირებული გამჟღავნების მიზანშეწონილობის შეფასება.

Deloitte დასახელება მიემართება გაერთიანებული სამეფოს კერძო კომპანია Deloitte Touche Tohmatsu Limited-ის ერთ ან მეტ კომპანიას, რომელიც შეზღუდულია გარანტიით ("DTTL"), წევრ წევრი ფირმების ქსელს და მათთან დაკავშირებულ სუბიექტებს. DTTL და მისი თითოეული წევრი ფირმა წარმოადგენს იურიდიულად ცალკეულ და დამოუკიდებელ ერთეულს. DTTL (ასევე, წოდებული, როგორც "Deloitte Global") არ უწევს მომსახურებას კლიენტებს. გთხოვთ, ესტუმროთ www.deloitte.com/about, სადაც იხილავთ დეტალურ ინფორმაციას DTTL და მისი წევრი ფირმების შესახებ.

© 2020 Deloitte & Touche LLC. ყველა უფლება დაცულია.

თარგმანი დედანთან სწორია: /ნინო თოდრია/
Translation is identical to the original: /Nino TODRIA/

შპს Deloitte & Touche
King David ბიზნეს ცენტრი
მერაბ ალექსიძის ქ. #12
თბილისი, 0171, საქართველო

ტელ.: +995 (32) 224 45 66
ფაქსი: +995 (32) 224 45 69

• ხელმძღვანელობის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის უწყვეტობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ დასკვნა და, მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, დადგენა, არსებობს თუ არა არსებითი გაურკვევლობა მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის მიერ თავისი საქმიანობის სამომავლოდ გაგრძელების შესაძლებლობის კუთხით. თუ მივდივართ იმ აზრამდე, რომ სახეზეა არსებითი გაურკვევლობა, ჩვენ ჩვენი აუდიტორის დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებულ გამჟღავნებაზე, ან დავადგინოთ, არის თუ არა ასეთი გამჟღავნება არასაკმარისი საიმისოდ, რომ ჩვენს დასკვნაში შესწორებები შევიდეს. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც მოპოვებულია ჩვენი აუდიტორის დასკვნის თარიღამდე. ამასთან, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება განაპირობოს კომპანიის მიერ საქმიანობის შეწყვეტა.
• ფინანსური ანგარიშგების მთლიანი პრეზენტაციის, სტრუქტურისა და შინაარსის შეფასება, გამჟღავნების ჩათვლით; ასევე, დადგენა, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ფუძემდებლური ოპერაციებსა და მოვლენებს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სამართლიანი წარმოდგენა.

ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს პირებთან, რომლებიც სარგებლობენ ხელმძღვანელობის უფლებამოსილებით აუდიტის დაგეგმილ ფარგლებსა და ვადებთან და აუდიტის მნიშვნელოვან მიგნებებთან მიმართებაში, მათ შორის, შიდა კონტროლის იმ მნიშვნელოვან ხარვეზებთან მიმართებაში, რომელიც ჩვენს იერ იქნა იდენტიფიცირებული აუდიტის დროს.

ანგარიში სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მენეჯმენტის დასკვნის მომზადებაზე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე, იმგვარ შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა ჩათვლის აუცილებლად მენეჯმენტის დასკვნის მოსამზადებლად, რომელიც

Deloitte დასახელება მიემართება გაერთიანებული სამეფოს კერძო კომპანია Deloitte Touche Tohmatsu Limited-ის ერთ ან მეტ კომპანიას, რომელიც შეზღუდულია გარანტიით ("DTTL"), წევრ წევრი ფირმების ქსელს და მათთან დაკავშირებულ სუბიექტებს. DTTL და მისი თითოეული წევრი ფირმა წარმოადგენს იურიდიულად ცალკეულ და დამოუკიდებელ ერთეულს. DTTL (ასევე, წოდებული, როგორც "Deloitte Global") არ უწევს მომსახურებას კლიენტებს. გთხოვთ, ესტუმროთ www.deloitte.com/about, სადაც იხილავთ დეტალურ ინფორმაციას DTTL და მისი წევრი ფირმების შესახებ.

© 2020 Deloitte & Touche LLC. ყველა უფლება დაცულია.

თარგმანი დედანთან სწორია: /ნინო თოდრია/
Translation is identical to the original: /Nino TODRIA/

შპს Deloitte & Touche
King David ბიზნეს ცენტრი
მერაბ ალექსიძის ქ. #12
თბილისი, 0171, საქართველო

ტელ.: +995 (32) 224 45 66
ფაქსი: +995 (32) 224 45 69

თავისუფალი იქნება თაღლითობის ან შეცდომის მიზეზით გამოწვეული რაიმე არსებითი ცდომილებისგან.

ჩვენ პროცედურები ვაწარმოეთ იმ საკითხთან დაკავშირებითაც, მომზადებულია თუ არა მენეჯმენტის დასკვნა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და შეიცავს თუ არა იგი ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება ამავე კანონით.

ჩვენ შევარჩიეთ და განვახორციელეთ პროცედურები ჩვენი გადაწყვეტილების საფუძველზე, მათ შორის (და არა მხოლოდ), ვაწარმოეთ გამოკითხვები, დოკუმენტაციის ანალიზი და განხილვა, კომპანიის პოლიტიკის, პროცედურების, მეთოდოლოგიების და გადმოცემული ინფორმაციის შედარება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, აგრეთვე მოვახდინეთ გადაანგარიშებები, რაოდენობრივი მაჩვენებლების და სხვა ინფორმაციის გადაანგარიშება, შედარება და შეჯერება.

ჩვენი აზრით:
• 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით წარმოდგენილი მენეჯმენტის დასკვნა მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
• 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით წარმოდგენილი მენეჯმენტის დასკვნა მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
• 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით წარმოდგენილი მენეჯმენტის დასკვნაში მოცემული ინფორმაცია თანმიმდევრულია და მატერიალური თვალსაზრისით შესაბამისობაში მოდის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

სტიუარტ ლეიტონი (Stuart Leighton)
შპს Deloitte and Touche-ის სახელით

2020 წლის 24 ივლისი

Deloitte დასახელება მიემართება გაერთიანებული სამეფოს კერძო კომპანია Deloitte Touche Tohmatsu Limited-ის ერთ ან მეტ კომპანიას, რომელიც შეზღუდულია გარანტიით ("DTTL"), წევრ წევრი ფირმების ქსელს და მათთან დაკავშირებულ სუბიექტებს. DTTL და მისი თითოეული წევრი ფირმა წარმოადგენს იურიდიულად ცალკეულ და დამოუკიდებელ ერთეულს. DTTL (ასევე, წოდებული, როგორც "Deloitte Global") არ უწევს მომსახურებას კლიენტებს. გთხოვთ, ესტუმროთ www.deloitte.com/about, სადაც იხილავთ დეტალურ ინფორმაციას DTTL და მისი წევრი ფირმების შესახებ.

© 2020 Deloitte & Touche LLC. ყველა უფლება დაცულია.

თარგმანი დედანთან სწორია: /ნინო თოდრია/
Translation is identical to the original: /Nino TODRIA/

შპს Deloitte & Touche
King David ბიზნეს ცენტრი
მერაბ ალექსიძის ქ. #12
თბილისი, 0171, საქართველო

ტელ.: +995 (32) 224 45 66
ფაქსი: +995 (32) 224 45 69

თბილისი, საქართველო

Deloitte დასახელება მიემართება გაერთიანებული სამეფოს კერძო კომპანია Deloitte Touche Tohmatsu Limited-ის ერთ ან მეტ კომპანიას, რომელიც შეზღუდულია გარანტიით ("DTTL"), წევრ წევრი ფირმების ქსელს და მათთან დაკავშირებულ სუბიექტებს. DTTL და მისი თითოეული წევრი ფირმა წარმოადგენს იურიდიულად ცალკეულ და დამოუკიდებელ ერთეულს. DTTL (ასევე, წოდებული, როგორც "Deloitte Global") არ უწევს მომსახურებას კლიენტებს. გთხოვთ, ესტუმროთ www.deloitte.com/about, სადაც იხილავთ დეტალურ ინფორმაციას DTTL და მისი წევრი ფირმების შესახებ.

© 2020 Deloitte & Touche LLC. ყველა უფლება დაცულია.

თარგმანი დედანთან სწორია: /ნინო თოდრია/
Translation is identical to the original: /Nino TODRIA/

მოგება-ზარალისა და სხვა ერთობლივი შემოსავლის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(მაჩვენებელი მოცემულია ლარში, ათასებში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	5	43,443	37,884
გაყიდვების ღირებულება	6	(33,865)	(31,104)
საერთო მოგება		**9,578**	**6,780**
განაწილების ხარჯები	7	(5,837)	(6,342)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2,851)	(2,165)
სხვა ხარჯები		(343)	(931)
სხვა შემოსავალი		310	220
ფინანსების ღირებულება	10,15	(1,916)	(1,304)
ფინანსური შემოსავალი		336	-
სავალუტო მოგება, წმინდა		638	149
ზარალი დაბეგვრამდე		**(85)**	**(3,593)**
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი		(379)	(275)
ზარალი წლის მანძილზე		**(464)**	**(3,868)**
სხვა ერთობლივი შემოსავალი		-	-
სულ მთლიანი ზარალი წლის განმავლობაში		**(464)**	**(3,868)**

მმართველი საბჭოს სახელით:

დავით ალავიძე გენერალური დირექტორი	გიორგი დევიძე ფინანსური დირექტორი
24 ივლისი, 2020 თბილისი, საქართველო	24 ივლისი, 2020 თბილისი, საქართველო

შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 9-34 გვერდებზე, წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

თარგმანი დედანთან სწორია: /ნინო თოდრია/
Translation is identical to the original: /Nino TODRIA/

შპს GD ALCO

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მაჩვენებელი მოცემულია ლარში, ათასებში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
გრძელვადიანი ინვესტიცია	9	9,839	-
აქტივების გამოყენების უფლება	10	1,061	-
ქონება, ქარხნები და აღჭურვილობა		261	411
არამატერიალური აქტივები		62	87
მთლიანად არა-საბრუნავი აქტივები		**11,223**	**498**
საბრუნავი კაპიტალი			
ინვენტარი	11	11,237	6,748
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	12	13,767	12,783
მიმწოდებლების მიმართ წინასწარ გადახდა		154	187
გადასახადები წინასწარ გადახდა საშემოსავლო გადასახადის გარდა		650	-
ფული და ფულადი ეკვივალენტები	13	1,595	1,184
სულ საბრუნავი კაპიტალი		**27,403**	**20,902**
სულ აქტივები		**38,626**	**21,400**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	15,584	2,952
დაუფარავი ზარალი		(6,368)	(5,904)
სულ კაპიტალი		**9,216**	**(2,952)**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	10	787	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**787**	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები	15	26,976	19,298
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	10	325	-
საშემოსავლოს გარდა სხვა გადასახადები		-	1,367
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება		239	68
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	16	1,083	3,619
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**28,623**	**24,352**
სულ ვალდებულებები		**29,410**	**24,352**
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		**38,626**	**21,400**

ხელმძღვანელობის სახელით:

_____ _____

დავით ალავიძე
გენერალური დირექტორი

24 ივლისი, 2020
თბილისი, საქართველო

გიორგი დევიძე
ფინანსური დირექტორი

24 ივლისი, 2020
თბილისი, საქართველო

შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 9-34 გვერდებზე, წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

თარგმანი დედანთან სწორია: /ნინო თოდრია/
Translation is identical to the original: /Nino TODRIA/

კაპიტალში ცვლილებების განხორციელების ანგარიში
2019 წლის **31** დეკემბრისთვის მდგომარეობით
(მაჩვენებელი მოცემულია ლარში, ათასებში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	მთლიანი კაპიტალი
ბალანსი 2018 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით		**1,302**	**(2,036)**	**(734)**
მთლიანი ზარალი წლის მანძილზე		-	(3,868)	**(3,868)**
კაპიტალდაბანდებაში მონაწილეობა	14	1,650	-	**1,650**
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**2,952**	**(5,904)**	**(2,952)**
მთლიანი ზარალი წლის მანძილზე		-	(464)	**(464)**
კაპიტალდაბანდებაში მონაწილეობა	14	12,632	-	**12,632**
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**15,584**	**(6,368)**	**9,216**

ხელმძღვანელობის სახელით:

დავით ალავიძე
გენერალური დირექტორი

24 ივლისი, 2020
თბილისი, საქართველო

გიორგი დევიძე
ფინანსური დირექტორი

24 ივლისი, 2020
თბილისი, საქართველო

შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 9-34 გვერდებზე, წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს GD ALCO

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მაჩვენებელი მოცემულია ლარში, ათასებში)

	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით	2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
ფულადი ნაკადი ოპერაციული საქმიანობიდან			
წლიური ზარალი		(464)	(3,868)
ცვლილებები:			
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი		379	275
ამორტიზაციისა და ცვეთის ხარჯები	7,8	427	245
დებიტორულ სახსრებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი, წმინდა	8,12	769	383
გაუფასურების ზარალის ანაზღაურება ((გაუფასურების ზარალის ანაზღაურება)), რომელიც აღიარებულია მიმწოდებლებზე წინსწრებით გადახდისას, წმინდა		10	(57)
ზარალი ინვენტარის ჩამოწერის შედეგად		38	106
Forex გაცვლითი კურსის მოგება, წმინდა		(638)	(150)
ფინანსების ღირებულება	10,15	1,916	1,304
ფინანსური შემოსავალი		(336)	-
ოპერაციული საქმიანობიდან ფულადი სახსრების გადინება ოპერაციული აქტივების და ვალდებულებების შეცვლამდე		**2,101**	**(1,762)**
(ზრდა) / შემცირება სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებში		(1,732)	939
მომწოდებლებისთვის წინასწარ გადახდების ზრდა		23	31
მარაგის (გაზრდა) / შემცირება		(4,527)	32
გადასახადების (გაზრდა) / შემცირება საშემოსავლო გადასახადის გარდა		(2,018)	842
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების შემცირება		(2,336)	(4,980)
ოპერაციებიდან ნაღდი ფული		**(8,489)**	**(4,898)**
გადახდილი საშემოსავლო გადასახადები		(208)	(69)
მიღებული პროცენტი		252	-
გადახდილი პროცენტი	10,15	(1,815)	(1,245)
ოპერაციული საქმიანობის შედეგად გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		**(10,260)**	**(6,212)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
გრძელვადიანი ინვესტიციის შეძენა		(9,405)	-
ქონების, ქარხნების და აღჭურვილობის და არამატერიალური აქტივების შეძენა		(44)	(25)
შემოსავლები ქონების, ქარხნებისა და აღჭურვილობის განკარგვიდან		21	926
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული		**(9,428)**	**901**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსავალი სესხებიდან	15	81,211	68,685
სესხების დაფარვა	15	(73,634)	(64,043)
იჯარის ძირითადი თანხის დაფარვა	10	(178)	-
კაპიტალდაბანდებაში მონაწილეობა აქციონერებისგან	14	12,632	1,650
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული		**20,031**	**6,292**
წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და ფულის ეკვივალენტებში		343	981
სავალუტო კურსის ცვლილების ზეგავლენა ფულად სახსრებსა და ექვივალენტებზე		68	(1)
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტი - პერიოდის დასაწყისში		**1,184**	**204**
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტი - პერიოდის ბოლოს		**1,595**	**1,184**

ხელმძღვანელობის სახელით:

დავით ალავიძე გენერალური დირექტორი	გიორგი დევიძე ფინანსური დირექტორი
24 ივლისი, 2020 თბილისი, საქართველო	24 ივლისი, 2020 თბილისი, საქართველო

შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 9-34 გვერდებზე, წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

თარგმანი დედანთან სწორია: /ნინო თოდრია/
Translation is identical to the original: /Nino TODRIA/

2019 წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშის შენიშვნები (გაგრძელება)
(მაჩვენებელი მოცემულია ლარში, ათასებში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს GD Alco ("კომპანია") არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა საქართველოში 2004 წლის 8 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ შემდეგი საიდენტიფიკაციო ნომრით: 205047091. კომპანიის დარეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, გიორგი მდივანის ქ. #3ა.
კომპანია ეწევა ფართო სპექტრის სხვადასხვა მიმწოდებლის ალკოჰოლური პროდუქტების საბითუმო სადისტრიბუციო საქმიანობას. კომპანიამ მოახდინა მისი განაწილების საცალო ქსელის რეალიზაცია და 2017 წელს მხოლოდ საბითუმო განაწილების ბიზნესი დაიტოვა.
კომპანია ქირაობს 5 საწყობს სხვადასხვა რეგიონებში სუპერმარკეტებისა და მცირე სასურსათო მაღაზიების, აგრეთვე მსხვილი სუპერმარკეტების მომარაგების მიზნით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ფლობდნენ შემდეგი აქციონერები:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
შპს Arevaco Investments Limited	46.06%	46.06%
შპს Alfordio Servisec	35.19%	35.19%
სიმონ ესართია	5.00%	5.00%
ლევან ლანდია	5.00%	5.00%
უტა მაზიაშვილი	4.50%	4.50%
ვლადიმერ დარჩიაშვილი	4.25%	4.25%
სულ:	**100%**	**100%**

კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით შეადგენდა შესაბამისად 156 და 165.

2. ახალი და გადასინჯული საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ არ გამოიყენა მანამდე მიღებული სხვა სტანდარტები, ცვლილებები ან ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა. გამოყენებული სხვა ახალი და გადასინჯული ფასს-ები, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ, ქვემოთ მოცემულია:

ფასს 16 იჯარა

კომპანიამ დაამტკიცა IFRS 16 იჯარა 2019 წლის 1 იანვრიდან. ფასს 16 წარმოადგენს ყოვლისმომცველ მოდელს საიჯარო შეთანხმებების იდენტიფიკაციისა და როგორც მეიჯარის, ისე მეიჯარისთვის სააღრიცხვო წესრიგს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 16 ექნება უპირატესი ძალა იჯარის არსებულ სახელმძღვანელო რეგულაციებთან შედარებით, ბასს 17 იჯარის და შესაბამისი ინტერპრეტაციების ჩათვლით.

ფასს 16 განასხვავებს იჯარებსა და მომსახურების ხელშეკრულებებს იმის საფუძველზე, თუ იდენტიფიცირებული აქტივი კონტროლდება თუ არა მომხმარებლის მიერ. განსხვავებები საოპერაციო იჯარას (დაუბალანსებელი) და ფინანსურ იჯარას (ბალანსზე) შორის ამოღებულია მეიჯარის აღრიცხვიდან და მას სცვლის მოდელი, სადაც აქტივის გამოყენების უფლება და შესაბამისი ვალდებულება უნდა იქნეს აღიარებული ყველა იჯარისათვის დამქირავებლის მიერ (ე.ი. ყველა ბალანსზე), გარდა მოკლე-ვადიანი იჯარისა და დაბალი ფასის აქტივების იჯარისა.

აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად ფასდება პირველადი ღირებულებით, ხოლო შემდგომში ფასდება პირველადი ღირებულებით (გარკვეული გამონაკლისის გათვალისწინებით), რასაც აკლდება ამორტიზაციისა და ცვეთის დაგროვილი ხარჯი, რომელიც ექვემდებარება კორექტირებას ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იჯარის იმ გადახდების არსებული ღირებულებით, რომელიც არ არის გადახდილი იმ დღისთვის. შემდგომში, საიჯარო ვალდებულება რეგულირდება პროცენტისა და იჯარის გადასახდელების მიხედვით, აგრეთვე იჯარის ცვლილებების ზეგავლენის მიხედვით. გარდა ამისა, ფულადი ნაკადების კლასიფიკაციაზე ასევე მოხდება ზეგავლენა, რადგანაც ბასს 17-ის მიხედვით ოპერაციული იჯარის გადახდები წარმოდგენილია ოპერაციული ფულადი ნაკადების სახით; ფასს 16-ის მოდელის მიხედვით, იჯარის გადასახადი გაიყოფა ძირითად და საპროცენტო ნაწილებად, რომელიც შესაბამისად წარმოდგენილ იქნება, როგორც დაფინანსებისა და ოპერაციული ფულადი სახსრების ნაკადი.

დამქირავებლის ბუღალტრული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16 ძირითადად ასრულებს გამქირავებლის ბასს 17-ით გათვალისწინებულ სააღრიცხვო მოთხოვნებს და კვლავაც მოითხოვს გამქირავებლისგან იჯარის კლასიფიკაციას ან ოპერაციული იჯარის, ისე ფინანსური იჯარის სახით.

მანამდე კომპანიამ აღიარა საოპერაციო იჯარის ხარჯები იჯარის მანძილზე და აღიარა აქტივები და ვალდებულებები მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ადგილი ჰქონდა დროის სხვაობას იჯარის ფაქტობრივ გადასახდელებს და აღიარებულ ხარჯებს შორის. აქტივების სარგებლობის უფლება და საიჯარო ვალდებულება 1,157 ათასი ლარის

ოდენობით აღიარებულ იქნა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. გამოყენებული ფასდაკლებით განაკვეთი შეადგენს 10.8%. შეწონილი საშუალო იჯარის ვადაა 5 წელი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საოპერაციო საიჯარო ვალდებულებები, რომლებიც გამოყენებულია ბასს 17-ის შესაბამისად 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იგი დისკონტირებულია დამატებითი სესხის პროცენტით პირველადი გამოყენების დღისთვის და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული საიჯარო ვალდებულებებით, პირველადი გამოყენების დღეს.

მინიმალური საიჯარო გადასახადი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-
• დამატებები იჯარის ვადის ცვლილების გამო	1,502
• ზემოაღნიშნული თანხების ფასდაკლების ეფექტი	(345)
2019 წლის 1 იანვარს აღიარებული საიჯარო ვალდებულებები	**1,157**

შესწორებები ფასს 9-ში „წინმსწრები დაფარვის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“

კომპანიამ პირველად მიმდინარე წელს მიიღო ფასს 9-ში შეტანილი შესწორებები. ფასს 9 –ში შეტანილი ცვლილებები განმარტავს, რომ იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა წინმსწრები გადახდის ფუნქცია „მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდის“ (SPPI) პირობას, მხარეს, რომელიც იყენებს ამ ვარიანტს, შეუძლია გადაიხადოს ან მიიღოს გონივრული ანაზღაურება წინმსწრები დაფარვისთვის, განურჩევლად წინმსწრები დაფარვის მიზეზისა. აღნიშნულის მიღებამ არ მოახდინა არსებითი ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ბასს 28–ში „გრძელვადიანი ინტერესები პარტნიორებსა და ერთობლივ საწარმოებში

კომპანიამ პირველად მიმდინარე წელს მიიღო ბასს 28-ში შეტანილი შესწორებები. შესწორება განმარტავს, რომ ფასს 9, მათ შორის, მისი გაუფასურების მოთხოვნები, ვრცელდება სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე იმ ასოცირებულ ან ერთობლივი საწარმოთა მიმართ, რომელზეც არ გამოიყენება წილობრივი მონაწილეობის მეთოდი. აღნიშნული მოიცავს გრძელვადიან ინტერესებს, რომლებიც, ფაქტობრივად, წარმოადგენს ორგანიზაციის წმინდა ინვესტიციის ნაწილს ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოში. კომპანია იყენებს ფასს 9-ს ასეთი გრძელვადიანი ინტერესების მიმართ მანამ, სანამ იგი გამოიყენებს ბასს 28-ს. ფასს 9-ის გამოყენებისას კომპანია არ ითვალისწინებს ბასს 28-ს მიერ მოთხოვნილ გრძელვადიანი პროცენტების საბალანსო

ღირებულებაში შესწორებას. აღნიშნულის მიღებამ არ მოახდინა არსებითი ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

IFRIC 23 გაურკვევლობა საშემოსავლო შემოსულობებთან დაკავშირებით

კომპანიამ პირველად მიმდინარე წელს მიიღო IFRIC 23. IFRIC 23 განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა დადგინდეს საბუღალტრო აღრიცხვის პოზიცია, როდესაც არსებობს გაურკვევლობა საშემოსავლო შემოსულობების შესახებ. ინტერპრეტაცია კომპანიისგან მოითხოვს შემდეგს:

• დაადგინოს, გაურკვევლობა საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებით შეფასებულია ცალკე თუ ჯგუფურად; და

• შეაფასოს, არის თუ არა სავარაუდო, რომ საგადასახადო ორგანო მიიღებს გაურკვეველ საგადასახადო შემოსულობებს, რომელიც გამოყენებულია ან იგეგმება გამოყენება უწყების მიერ საშემოსავლო გადასახადის შევსებისას: თუ მიიღებს, კომპანიამ უნდა განსაზღვროს თავისი სააღრიცხვო საგადასახადო მდგომარეობა თანმიმდევრულად გამოყენებულ ან გამოსაყენებელ საგადასახადო შემოსულობებთან ერთად საშემოსავლო გადასახადის შევსებისას.

• უარის შემთხვევაში, კომპანია უნდა ასახავდეს გაურკვევლობის ეფექტს მისი სააღრიცხვო საგადასახადო პოზიციის განსაზღვრისას თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. აღნიშნულის მიღებამ არ მოახდინა არსებითი ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორება ბასს 19-ში - დასაქმებულთა შეღავათები

კომპანიამ პირველად მიმდინარე წელს მიიღო IAS 19-ში შეტანილი შესწორებები. ცვლილებები განმარტავს, რომ მომსახურების წარსული ღირებულება (ან ანგარიშსწორების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი) გამოითვლება განსაზღვრული სარგებელის ვალდებულების (აქტივის) შეფასებით, რა დროსაც იყენებს განახლებულ დაშვებებს და შეთავაზებული შეღავათების შედარებას და აქტივების გეგმას შესწორებების შეტანამდე ან მის შემდეგ) მაგრამ უგულებელყოფს აქტივის ჭერის/ზედა ზღვრის ეფექტს (ეს შეიძლება წარმოიშვას, როდესაც განსაზღვრული სარგებელის გეგმა პოზიტიური სალდოს პოზიციაშია). ბასს 19 – ში ნათელია, რომ აქტივების ჭერის/ზედა ზღვრის ეფექტის ცვლილება, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს გეგმის ცვლილებებმა (ან შემცირებამ ან ანგარიშსწორებამ), განისაზღვრება მეორე ეტაპზე და, ჩვეულებრივ, აღიარებულ იქნება სხვა სრულ შემოსავალში. ასევე შეიცვალა პუნქტები, რომლებიც ეხმიანება არსებული მომსახურების ღირებულების შეფასებას და წმინდა პროცენტულ განაკვეთს ვალდებულების (აქტივის) მიმართ დადგენილი გადახდით. მინდა პროცენტს.

ამჯერად სუბიექტს მოეთხოვება გამოიყენოს ამ ხელახალი შეფასებიდან გამომდინარე განახლებული ვარაუდები, რათა დადგინდეს მიმდინარე მომსახურების ღირებულება და წმინდა პროცენტი გეგმის ცვლილების შემდეგ საანგარიშო ვადის დარჩენილი პერიოდისთვის. წმინდა პროცენტის შემთხვევაში, ცვლილებების შედეგად ცხადი ხდება, რომ გეგმის შესწორების შემდგომ პერიოდში წმინდა პროცენტი გამოითვლება სარგებელის (აქტივის) გამრავლებით, როგორც ეს ხორციელდება ბასს 19,99-ის საფუძველზე, რა დროსაც გამოიყენება ხელახალი შეფასებისას მოქმედი დისკონტირების ტარიფი (შენატანების და შეღავათების/ხელფასის გადახდის საშეღავათო ვალდებულებებზე (აქტივებზე) ზეგავლენის გათვალისწინებით). აღნიშნულის მიღებამ არ მოახდინა არსებითი ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

წლიური გაუმჯობესება ფასს-ს სტანდარტებში, 2015–2017 წლის ციკლი

კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად მიიღო შესწორებები, რომლებიც შეტანილ იქნა ფასს-ის სტანდარტების 2015-2017 წლის ციკლში. წლიური გაუმჯობესებები მოიცავს ცვლილებებს ოთხი სტანდარტის მიმართ.

ბასს 12 საშემოსავლო გადასახადები

ცვლილებები განმარტავს, რომ ორგანიზაციამ უნდა აღიაროს დივიდენდების საშემოსავლო გადასახადის შედეგები მოგებაში ან ზარალში, სხვა ერთობლივ შემოსავალში ან კაპიტალში იმის მიხედვით, თუ სად აღიარა ორგანიზაციამ გარიგებები, რომლებმაც წარმოქმნეს გასანაწილებელი მოგება. ეს ის შემთხვევაა, რომელიც, მიუხედავად, გადასახადის სხვადასხვა განაკვეთებისა, ვრცელდება განაწილებულ და გასანაწილებელ მოგებაზე.

ბასს 23 სესხის ხარჯები

ცვლილებები განმარტავს, რომ თუ რაიმე კონკრეტული სესხი გადასახდელი რჩება მას შემდეგ, რაც შესაბამისი აქტივი მზად არის მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის ან გასაყიდად, ეს სესხი ხდება იმ ფონდების ნაწილი, რომელსაც ორგანიზაცია ზოგადად სესხულობს ჩვეულებრივი სესხების კაპიტალიზაციის განაკვეთის გაანგარიშებისას.

ფასს 3 ბიზნეს კომბინაციები

ფასს 3–ში შეტანილი ცვლილებები განმარტავს, რომ როდესაც სუბიექტი იძენს ერთობლივი ოპერაციის წარმოებაზე კონტროლს, იგი იყენებს ეტაპობრივად

მიღწეული ბიზნესის კომბინაციისთვის დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის, ადრე მის მფლობელობაში არსებული პროცენტის (PHI) სამართლიანი ღირებულებით ხელახალი შეფასების მიმართ დადგენილ მოთხოვნებს ერთობლივი ოპერაციის დროს. PHI ხელახალი შეფასება მოიცავს ნებისმიერ არა-არაღიარებული აქტივს, ვალდებულებებს და გუდვილს, რომლებიც დაკავშირებულია ერთობლივ ოპერაციასთან.

ფასს 11 შეთანხმებები ერთობლივი საქმიანობის შესახებ

ფასს 11-ში შეტანილი ცვლილებები განმარტავს, რომ როდესაც მხარე, რომელიც მონაწილეობს, მაგრამ არ ახორციელებს ერთობლივ კონტროლს ერთობლივ ოპერაციაზე, იძენს ერთობლივ კონტროლს ამგვარი ერთობლივ ოპერაციაზე, სუბიექტი არ ახდენს ერთობლივი ოპერაციის ხელახლა შეფასებას.
ცვლილებებმა არ მოახდინა არსებითი ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და გადასინჯული IFRS სტანდარტები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

მოცემული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღისათვის კომპანია არ იყენებდა ქვემოთ ჩამოთვლილ ახალ და გადასინჯულ სტანდარტებს, რომლებიც გაიცა, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო ძალაში შესული:

• ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები

• ფასს 10 და ბასს 28 (შესწორებები) - აქტივების შენატანების გაყიდვა ინვესტორსა და მის პარტნიორს ან ერთობლივ საწარმოს შორის.

• შესწორებები ფასს 3-ში - ბიზნესის განმარტება

• შესწორებები ბასს 1-ში და ბასს 8 - მასალის განმარტება

• კონცეპტუალური ჩარჩო - ფასს-ის სტანდარტებში კონცეპტუალურ ჩარჩოებთან დაკავშირებული მითითების ცვლილებები

ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები

ახალი სტანდარტი ადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარების, შეფასების, პრეზენტაციისა და გამჟღავნების პრინციპებს და იგი ატარებს უპირატეს ძალას ფასს 4 სადაზღვევო ხელშეკრულებებთან შედარებით.

სტანდარტი ასახავს ზოგად მოდელს, რომელიც შეცვლილია სადაზღვევო ხელშეკრულებებში უშუალო მონაწილეობის მახასიათებლებით და აღწერილია,

როგორც ცვლადი საფასურის მიდგომა. ზოგადი მოდელი მარტივდება, თუ გარკვეული კრიტერიუმები აკმაყოფილებს Premium Allocation მიდგომის გამოყენებით დარჩენილი დაფარვის ვალდებულების შეფასებას.

ზოგადი მოდელი გამოიყენებს მიმდინარე დაშვებებს რათა შეაფასოს სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობა, დრო და მასთან არსებული გაურკვევლობა და იგი ასევე მკაფიოდ შეაფასებს ამ გაურკვევლობის ღირებულებას, გაითვალისწინებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს და ზეგავლენას პოლისის მფლობელთა ოფციონსა და გარანტიებზე. სტანდარტის დანერგვა, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანს სუბიექტის პროცესებსა და სისტემებში და მოითხოვს ბევრად უფრო მეტ კოორდინაციას ბიზნესის მრავალი ფუნქციას შორის, ფინანსების, აქტუარიისა და IT-ის ჩათვლით.

სტანდარტი ეფექტურია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ, დაშვებულია ადრეული გამოყენება. იგი გამოიყენება რეტროსპექტურად, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც აღნიშნული არ არის პრაქტიკული; ასეთ დროს გამოყენებულ იქნება შეცვლილი რეტროსპექტული მიდგომა ან სამართლიანი ღირებულების მიდგომა.

გარდამავალი მოთხოვნების მიზნებისათვის, საწყისი გამოყენების თარიღი არის დასაწყისი იმ შემთხვევაში, თუ წლიური საანგარიშო პერიოდი, რომელშიც სუბიექტი პირველად იყენებს სტანდარტს და გარდამავალი თარიღი არის იმ პერიოდის დასაწყისი, რომელიც უშუალოდ უსწრებს პირველადი გამოყენების თარიღს.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ითვალისწინებს, რომ სტანდარტის გამოყენებას მომავალში გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 10 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (შესწორებები)

ფასს 10–ში და ბასს 28–ში შეტანილი შესწორებები ეხება სიტუაციებს, როდესაც ინვესტორსა და მის პარტნიორს ან ერთობლივი საწარმოს შორის მიმდინარეობს აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია. კერძოდ, შესწორებებით დგინდება, რომ შვილობილი კომპანიის კონტროლის დაკარგვის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც არ შეიცავს ბიზნესს პარტნიორთან ან ერთობლივი საწარმოსთან ტრანზაქციაში, რომელიც გათვლას აკეთებს კაპიტალის მეთოდის გამოყენებაზე, აღიარებულ იქნება მშობლის მოგებაში ან ზარალში მხოლოდ იმ ასოცირებულ ან ერთობლივი საწარმოს არა-დაკავშირებული ინვესტორების ინტერესების მოცულობით. ანალოგიურად, მოგება და ზარალი, რომელიც გამომდინარეობს რაიმე ყოფილი შვილობილი კომპანიის მიერ (რომელიც გახდა ასოცირებული ან ერთობლივი საწარმო და გათვლას აკეთებს წილობრივი მონაწილეობის გამოყენებაზე) დაკავებული

ინვესტიციების გადაანგარიშებიდან სამართლიან ფასამდე, აღიარებული იქნება ყოფილი მშობლის მოგებაში ან ზარალში მხოლოდ ამ ახალ ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოში არა-დაკავშირებული ინვესტორების ინტერესების მოცულობით.
შესწორებების ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ არის განსაზღვრული IASB-ის მიერ; ამასთან, დასაშვებია შესწორებების უფრო ადრე გამოყენება.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ითვალისწინებს, რომ სტანდარტის გამოყენებას მომავალში გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ფასს 3-ში, ბიზნესის განმარტება

შესწორებები განმარტავს, რომ მაშინ, როდესაც ბიზნესს, როგორც წესი, აქვს თავისი შედეგები, არ არის საჭირო ეს შედეგები საქმიანობის და აქტივების ინტეგრირებული ჯგუფისთვის, რათა მოხდეს მისი დაკვალიფიცირება ბიზნესის სახით. ბიზნესად რომ ჩაითვალოს, საჭიროა რომ როგორც მინიმუმ, აქტივები და საქმიანობები შეიცავდეს შეტანილ წვლილს და არსებით პროცესს, რაც ერთობლიობაში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შედეგების შექმნის შესაძლებლობას.

გათვალისწინებულია დამატებითი სახელმძღვანელო მითითებები, რომელიც განსაზღვრავს არის თუ არა შეძენილი არსებითი პროცესი.

შესწორებები ნერგავს კონცენტრაციის დამატებით ტესტს, რომელიც იძლევა გამარტივებულ შეფასებას იმის შესახებ, არის თუ არა შეძენილი საქმიანობა და აქტივები ბიზნესი. კონცენტრაციის დამატებითი ტესტის თანახმად, აქტივობებისა და აქტივების შეძენილი ნაკრები არ არის ბიზნესი, თუ არსებითად მიღებული მთლიანი აქტივების რეალური ღირებულება კონცენტრირებულია ერთ იდენტიფიცირებულ აქტივში ან მსგავსი აქტივების ჯგუფში.

შესწორებები პერსპექტიულად ვრცელდება ყველა ბიზნეს კომბინაციასა და აქტივების შესყიდვაზე, რომელთა შესყიდვის თარიღი არის 2020 წლის პირველი იანვარი ან თარიღი, რომელიც დაიწყება პირველი წლიური საანგარიშო პერიოდის დაწყებიდან ან შემდეგ; დაშვებულია ადრეული გამოყენებაც.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ითვალისწინებს, რომ სტანდარტის გამოყენებას მომავალში გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ბასს 1-ში და ბასს 8-ში. მასალის განმარტება

შესწორებები მიზნად ისახავს მოგვცეს მასალის განმარტება ბასს 1-ში და უფრო ადვილად გასაგები გახადოს იგი; შესწორება მიზნად ისახავს შეცვალოს ფასეულობის

ფუძემდებლური კონცეფცია ფასს სტანდარტებში. ახალი განსაზღვრების ნაწილის სახით შემოღებულ იქნა არამატერიალურ ინფორმაციაში მატერიალური ინფორმაციის „გახსნის“ კონცეფცია.

მატერიალური ზეგავლენის მომხმარებელთა ზღვარი შეიცვალა და ნაცვლად ფორმულირებისა "შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს“ გახდა „შესაძლოა, გონივრულად მოსალოდნელი გახდეს ზეგავლენის მოხდენა“.

ბასს 8 – ში მოცემული მასალის განმარტება შეიცვალა მითითებით ბასს 1 – ში მოცემული მასალის განმარტებასთან დაკავშირებული მითითებით. გარდა ამისა, IASB ცვლილებები შეიტანა სხვა სტანდარტებსა და კონცეფციურ ჩარჩოში, რომელიც შეიცავს მასალების განმარტებას ან მოიხსენიებს ტერმინს „მასალად“, რათა უზრუნველყოს თანამიმდევრულობა.

შესწორებები პერსპექტიულად გამოიყენება ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ - რომელი თარიღიც უფრო მალე დადგება.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ითვალისწინებს, რომ სტანდარტის გამოყენებას მომავალში გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ის სტანდარტებში კონცეპტუალური ჩარჩოებში მითითების ცვლილებები

შესწორებულ კონცეპტუალური ჩარჩოსთან ერთად, რომელიც ძალაში შედის 2018 წლის 29 მარტს გამოქვეყნებისთანავე, IASB-მ ასევე გამოსცა შესწორებები ფასს-ს სტანდარტების კონცეფციურ ჩარჩოებში. დოკუმენტი შეიცავს შესწორებების შემდეგ სტანდარტებში: SNRS 2, IFRS 3, IFRS 6, IFRS 14, IAS 1, IAS 8, SAS 34, IAS 37, IAS 38, IFRIC 12, IFRIC 19, IFRIC 20, IFRIC 22 და SIC-32.

ამასთან, ყველა შესწორება არ ახდენს ამ გამოყენების განახლებას ჩარჩოს მითითებებსა და ციტირებებთან მიმართებაში, ისინი მიემართებიან გადასინჯულ კონცეპტუალურ ჩარჩოს. ზოგიერთი მათგანი განახლებულია მხოლოდ იმისთვის, რომ მიუთითონ, თუ ჩარჩოს რომელ ვერსიას მოიხსენიებენ ისინი (IASB ჩარჩო, რომელიც 2002 წელს მიიღო IASB-მ, 2010 წლის IASB ჩარჩო, ან 2018 წლის ახალი შესწორებული ჩარჩო) ან მიუთითოს, რომ სტანდარტში მოცემული განმარტებები არ განახლებულა განახლებული კონცეპტუალური ჩარჩოში შემუშავებული ახალი განმარტებებით.

შესწორებები, რომლებიც რეალურად განახლებულია, ძალაში შედის იმ პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარის ან მას შემდეგ; დაშვებულია ადრეული გამოყენება.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ითვალისწინებს, რომ სტანდარტის გამოყენებას მომავალში გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

მომზადების საფუძველი. ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია IASB-ის მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ("ფასს") და, ასევე, "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა პერიოდისთვის, თუ სხვა რამ არ იყო დადგენილი.

ზოგადად, ისტორიული ღირებულება ემყარება საქონლისა და მომსახურებისთვის გათვალისწინებული თანხის სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელსაც იღებენ აქტივის გაყიდვისთვის, ან რომელსაც იხდიან ვალდებულების გადაცემისათვის ბაზრის მონაწილეთა შორის რეგულარულ გარიგებაში შეფასების თარიღისთვის, იმისდა მიუხედავად, არის თუ არა ეს ფასი უშუალოდ შესამჩნევი ან შეფასებული შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუკი ბაზრის მონაწილეებიც გაითვალისწინებენ ამ მახასიათებლებს აქტივის ან ვალდებულების ფასის შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების ან/და გამჟღავნების მიზნების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ასეთ საფუძველზე, გარდა აქციებზე დაფუძნებული საგადახდო ტრანზაქციებისა, რომლებიც ფასს 2-ს ფარგლებშია ხორციელდება, ასევე, იჯარის ლიზინგული ოპერაციებისა, რომლებიც ბასს 17-ის ფარგლებში სრულდება, და შეფასებისა, რომლებიც აქვს გარკვეული მსგავსება სამართლიან ღირებულებასთან, მაგრამ არ წარმოადგენენ სამართლიან ღირებულებას, მაგალითად, გაყიდვის წმინდა ღირებულება IAS 2-ში ან ღირებულება, მიღებული ბასს 36-ის გამოყენების შედეგად.

ამასთან, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულების შეფასება კატეგორიზებულია 1-ლ, მე-2 ან მე-3 დონეებად, იმის მიხედვით, თუ რამდენად შესამჩნევია შემოსავლები სამართლიანი ღირებულების შეფასებისას და რამდენად მნიშვნელოვანია იგი მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების მიზნით, რაც აღწერილია შემდეგნაირად:

(i) პირველი დონე არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე ქვოტირებული ფასების (დაუკორექტირებელი) გაზომვები, რომელიც ორგანიზაციას შეუძლია წვდომა შეფასების დღეს;

(ii) მეორე დონის გაზომვები არის შეფასების მეთოდები ყველა არსებითი ამოსავალი მონაცემებით, რომლებიც ვლინდება აქტივებსა და ვალდებულებებში უშუალოდ (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირი გზით (ანუ, ფასებიდან გამომდინარე);

(iii) მესამე დონის გაზომვები არის შეფასებები, რომლებიც არ ეყრდნობა ბაზრის მონაცემებს (შეუმჩნეველი მონაცემები).

გაურკვევლობები უწყვეტ საქმიანობასთან დაკავშირებით. 2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე ვალდებულებებმა გადააჭარბა მიმდინარე აქტივებს შესაბამისად 1,220 ათასი ლარით და 3,450 ათასი ლარით. ამ დროისთვის კომპანიას დაუგროვდა ზარალი 6,368 ათასი ლარის ოდენობით და 5,904 ათასი ლარის ოდენობით. გარდა ამისა, 2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ პერიოდში კომპანიამ მიიღო ზარალი 464 ათასი ლარით და 3,868 ათასი ლარით, ხოლო ოპერაციიდან - უარყოფითი ფულადი ნაკადები, შესაბამისად - 10,260 ლარისა და 6,212 ლარის ოდენობით. ზარალი გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ კომპანიამ საცალო ბიზნესი გაყიდა 2017 წელს და ცდილობს რეორგანიზაციის შემდეგ მიაღწიოს ეფექტურ შემოსავალსა და ხარჯების სტრუქტურას. მენეჯმენტის გეგმამ შედეგად მოიტანა ზარალის შემცირება 464 ათასი ლარით, ანუ მეტით, ვიდრე 2018 წელს, როდესაც ეს მაჩვენებელი შეადგენდა 3,868 ათას ლარს. ამასთან, COVID-19 შეზღუდვების გამო, მომხმარებლები, რომლებიც კომპანიის შემოსავლის 50%-ს ჰქმნიდნენ, ჩაიკეტნენ 2020 წლის მარტი-მაისში. ეს მოვლენები და პირობები მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს არსებითი გაურკვევლობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე საქმიანობის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

კომპანიის საქმიანობის გაუმჯობესების და COVID-19–ის გავრცელების გამო ეკონომიკურ ზარალზე რეაგირების მიზნით, ხელმძღვანელობამ შეაფასა 2020 წლის ფინანსური პროგნოზები და დაამტკიცა ანტი-კრიზისული გეგმა:
- მენეჯმენტი ყურადღებით აკონტროლებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და შემუშავებული აქვს პროგნოზები სამი სცენარის გათვალისწინებით: საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური. მომზადდა პროგნოზები საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროების საფუძველზე, სადაც გათვალისწინებულ იქნა COVID–ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ყველა ქმედება. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა საშუალო შეწონილი პროგნოზი და მას კომპანია წლის ბოლომდე გამოიყენებს. კომპანია არ ელოდება, რომ 2020 წლის ბოლოსთვის შემოსავალი 32% -ზე მეტით შემცირდება.
- Covid-19-ის გამო კომპანიის ხელმძღვანელობამ დანერგა ახალი მიდგომები ინვენტარიზაციისა და ვალდებულებების მართვის საკითხთან დაკავშირებით,

ამასთან, იგი საშუალებას აძლევს დაბრუნდნენ არა-ოპერაციულ მომხმარებლები, ხოლო მარაგებს იყენებს ფუნქციონალური მაღაზიების მომარაგებისთვის. შედეგად, 2020 წლის მარტ-მაისის თვეებში კომპანიამ 481 ათასი ლარი ჩარიცხა გაყიდვებიდან მიღებული ამონაგების სახით.

- 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები 27,970 ათასი ლარია, რაც მოიცავს 26,975 ათასი ლარის სესხს, რომელიც საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების საფუძველზე იქნა მიღებული. კომპანიას აქვს ინტენსიური კომუნიკაცია ბანკთან საკრედიტო ხაზის პროლონგაციისთვის, რაც ყოველწლიურად ხდება. არასოდეს ყოფილა შემთხვევა, რომ გამსესხებელს დროზე ადრე გაეტანოს საკრედიტო ხაზი.

- აქციონერები ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებას კომპანიის ოპერაციების დაფინანსების გასაგრძელებლად. ეს ვალდებულება დადასტურებულია შემდგომ პერიოდში კაპიტალში განხორციელებული შენატანებით, რაც 1,575 ათას ლარს შეადგენდა;

- - კომპანიამ მიიღო ოფიციალური ვალდებულება უმსხვილესი აქციონერის შპს Arevaco
Investments Limited-გან 2020 წლის 15 ივლისს საოპერაციო საქმიანობის მხარდასაჭერად და საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულებების დასაფარად, დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფით;

ფუნქციური ვალუტა. კომპანიის თითოეული სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი პუნქტები ფასდება იმ ეკონომიკური გარემოს პრიორიტეტული ვალუტის გამოყენებით, რომლითაც ორგანიზაცია მოქმედებს (”ფუნქციური ვალუტა”). კომპანიის მშობლის ფუნქციური ვალუტაა ქართული ლარი ("ლარი"). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დღევანდელი ვალუტაა ლარი. ყველა მაჩვენებელი მრგვალდება უახლოეს ათას ლარამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

ურთიერთ-ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლას ექვემდებარება, ხოლო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხა მითითებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ანაზღაურების კანონიერად აღსრულებადი უფლება, და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ანგარიშსწორება წმინდა, ან აქტივების რეალიზაციის საფუძველზე და განხორციელდეს ვალდებულებების ერთდროული დაფარვა. მოგება და ხარჯი არ არის ჩათვლილი მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგებაში, თუ ეს არ იქნება მოთხოვნილი ან ნებადართული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, და კონკრეტულად არ იქნება მითითებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი დებულებები ქვემოთ მოცემულია.

შემოსავალი. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები დარიცხვის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლის აღიარება ხდება ყველა შემდეგი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში:

• კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის საკუთრების მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
• კომპანია არ ინარჩუნებს მენეჯმენტის მუდმივი მონაწილეობის იმ ხარისხს, რომელიც ჩვეულებრივ უკავშირდება საკუთრებას, ასევე, იგი არც ეფექტურ კონტროლს აწარმოებს გაყიდულ საქონელზე;
• შემოსავლის ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს;
• სავარაუდოდ, რომ ტრანზაქციებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა ორგანიზაციას; და;
• გაწეული ან განსახორციელებელი ტრანზაქციისთვის გაწეული ხარჯები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.
კომპანია ცნობს შესრულების ვალდებულებას ალკოჰოლური პროდუქციის გაყიდვაზე მოცემულ მომენტში, რადგან არსებობს შესრულების კუთხით მხოლოდ ერთი ვალდებულება. შემოსავალი მცირდება სავარაუდო მომხმარებლის ანაზღაურებისთვის, ფასდაკლებით და სხვა მსგავსი ფასდებით.

იჯარა - ძალაშია 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ

კომპანია შეაფასებს, არის თუ არა ხელშეკრულება იჯარის შესახებ ან ითვალისწინებს თუ არა იჯარას ხელშეკრულების დადების დროს. კომპანია ცნობს სარგებლობის უფლების მქონე აქტივს და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას ყველა საიჯარო შეთანხმების მიმართ, რომელშიც ის არის გამქირავებელი, გარდა მოკლევადიანი იჯარისა (აღნიშნული განსაზღვრულია, როგორც იჯარა, რომელსაც აქვს 12 თვე ან ნაკლები საიჯარო ვადა) და დაბალი ღირებულების აქტივებისა (მაგალითად, ტაბლეტები და პერსონალური კომპიუტერები, საოფისე ავეჯის მცირე ნივთები და ტელეფონები). ამ იჯარისთვის კომპანია იჯარით გადასახადს აღიარებს, როგორც საოპერაციო ხარჯს პირდაპირი ხაზის საფუძველზე და სცნობს მისი გადახდის ვალდებულებას იჯარის ვადის გასვლამდე, თუ სხვა სისტემატური საფუძველი უფრო წარმომადგენლობითი არ იქნება იმ საიჯარო დროიდან, რომელშიც იჯარით აღებული აქტივებიდან სარგებელს იღებენ.

საიჯარო სესხი თავდაპირველად იზომება იჯარის გადასახადის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც არ არის გადახდილი დაწყების დღეს, მისი ფასდაკლება ხდება იჯარაში მითითებული განაკვეთის გამოყენებით. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, კომპანია იყენებს დამატებითი სასესხო საშუალებების მოზიდვის საკუთარ ტარიფს.

საიჯარო ვალდებულება წარმოდგენილია, როგორც ცალკე ხაზი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საიჯარო ვალდებულება შემდგომში ფასდება საბალანსო ღირებულების გაზრდით, რათა ასახოს იჯარის ვალდებულების პროცენტი (ეფექტური პროცენტის გამოყენებით) და აღრიცხვის ღირებულების შემცირებით, რათა ასახოს განხორციელებული საიჯარო გადახდები.

კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას (და შესაბამის კორექტირებას ახდენს შესაბამისი სარგებლობის უფლების აქტივზე), როდესაც:

• შეიცვალა საიჯარო ვადა ან ადგილი აქვს მნიშვნელოვანი მოვლენა ან გარემოებების ცვლილებას, რამაც გამოიწვია შესყიდვის ვარიანტის განხორციელების შეფასების ცვლილება, ამ შემთხვევაში იჯარის ვალდებულების ხელახალი შეფასება ხდება განახლებული საიჯარო გადასახადების ფასდაკლებით, გადასინჯული ფასდაკლების განაკვეთის გამოყენებით.

• საიჯარო გადასახადი იცვლება ინდექსის ან კურსის ცვლილების ან გარანტირებული საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი შეცვლის გამო, ამ შემთხვევაში იჯარის ვალდებულება ფასდება შესწორებული იჯარის ანგარიშსწორების ფასდაკლებით, უცვლელი ფასდაკლების განაკვეთის გამოყენებით (გარდა იმ შემთხვევისა, თუ იჯარის გადახდების ცვლილება განპირობებულია მცურავი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით - ამ შემთხვევაში გამოიყენება გადასინჯული ფასდაკლება).

• შეიცვალა საიჯარო ხელშეკრულება და იჯარის მოდიფიკაცია არ ითვლება ცალკეულ იჯარად, ამ შემთხვევაში საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასება ხდება მოდიფიცირებული იჯარის ვადის საფუძველზე, გადასინჯული საიჯარო გადასახადების ფასდაკლებით, ასევე, ცვლილების თარიღისთვის მოქმედი გადასინჯული ფასდაკლების გამოყენებით.

კომპანიას წარმოდგენილი პერიოდების განმავლობაში არ განუხორციელებია ამგვარი კორექტირება.

სარგებლობის უფლების აქტივები მოიცავს შესაბამისი საიჯარო ვალდებულების საწყის შეფასებას, იჯარის გადასახდელებს, რომელიც განხორციელდა დაწყების დღეს

ან მის წინ, და ნებისმიერი პირდაპირი ხარჯების შემცირებას. შემდგომში ისინი ფასდება იმ ფასის მიხედვით, რომელიც ნაკლებია აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის ანაზღაურებაზე.

როდესაც კომპანიას იჯარით გაცემული საიჯარო აქტივის დემონტაჟის და გატანის ხარჯები ადგება, ან როდესაც აღადგენს იმ ადგილს, რომელზეც მდებარეობდა ან უწევს ძირითადი აქტივის აღდგენა იჯარით გათვალისწინებული ვადებისა პირობების შესაბამისად, აღნიშნული აღიარდება და ფასდება „ბასს 37“-ის შესაბამისად. რამდენადაც ეს ხარჯები ეხება აქტივის გამოყენების უფლებას, ხარჯები შედის შესაბამისი აქტივის გამოყენების უფლებაში, თუ ეს ხარჯები არ არის დაწესებული ინვენტარიზაციისთვის.

სარგებლობის უფლების აქტივები ამორტიზდება ძირითადი აქტივის საიჯარო ვადის და მოკლე ვადის განმავლობაში. თუ იჯარა გადასცემს ძირითად აქტივს მფლობელობაში ან სარგებლობის უფლების მქონე აქტივის ღირებულება მიუთითებს, რომ კომპანია აქვს ყიდვის ვარიანტის მოლოდინი, დაკავშირებული სარგებლობის უფლების აქტივი ამორტიზდება ძირითადი აქტივის სასარგებლო ვადის განმავლობაში. ამორტიზაცია იწყება იჯარის დაწყების თარიღიდან.

გამოყენების უფლების აქტივები წარმოდგენილია ქონებისა და აღჭურვილობის ხაზში - ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.
კომპანია იყენებს ბასს 36, რათა დაადგინოს არის თუ არა სარგებლობის უფლების აქტივი გაუფასურებული, და ითვალისწინებს გაურკვეველი ზარალის ანაზღაურებას, როგორც ეს აღწერილია "ქონების, დანადგარების და აღჭურვილობის" პოლიტიკაში.
პრაქტიკული მიზანშეწონილობით, ფასს 16 საშუალებას აძლევს მოიჯარეს არ გამოყოს არა-საიჯარო კომპონენტები, და ამის ნაცვლად ითვალისწინებს იჯარის და დაკავშირებულ არა- საიჯარო კომპონენტებს, როგორც ერთჯერად ზომას. კომპანიამ გამოიყენა ეს პრაქტიკული მიდგომა.
კომპანია 31 დეკემბრით დაბოლოებული 2019 წლის და 2018 წლის განმავლობაში არ არის წარმოდგენილი, როგორც მეიჯარე.

იჯარები - 2019 წლის 1 იანვრამდე

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო პირობებით ხდება მოიჯარისთვის ყველა არსებითი რისკის და სარგებლის გადაცემა; ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

კომპანია, როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარიდან მიღებული გაქირავების შემოსავალი აღიარებულია პირდაპირი ხაზის საფუძველზე შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მოლაპარაკებისა და საოპერაციო იჯარის ორგანიზებისას წარმოშობილი საწყისი პირდაპირი ხარჯები ემატება იჯარას აქტივის საბალანსო ღირებულებას და აღიარდება ხაზის საფუძველზე იჯარის ვადის განმავლობაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადახდები აღიარებულია, როგორც ხარჯი პირდაპირი ხაზის საფუძველზე - საიჯარო ვადის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სისტემური საფუძველი უფრო მიზანშეწონილია იმ დროში, რომელშიც იჯარით გაცემული აქტივიდან მოდის ეკონომიკური სარგებელი. საოპერაციო იჯარის პირობებში მიღებული პირობითი ქირა აღიარებულია, როგორც ხარჯი ამ პერიოდში. საიჯარო შეღავათის მიღებისას საოპერაციო იჯარის გასაფორმებლად, ასეთი შეღავათები აღიარებულია ვალდებულებად. წახალისების საერთო სარგებელი აღიარებულია, როგორც ქირავნობის ხარჯის შემცირება პირდაპირი ხაზის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სისტემატური საფუძველი უფრო წარმომადგენლობითია დროის იმ ვადებში, რომელშიც ხდება იჯარით გაცემული აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება.

უცხოური ვალუტა. ტრანზაქციები ვალუტაში, გარდა საწარმოს ფუნქციონალური ვალუტისა (უცხოური ვალუტის), აღირიცხება იმ გაცვლითი კურსით, რომელიც უპირატესი და მეტია ამ ტრანზაქციის დღეს. ყოველი საანგარიშო თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ერთეულები გარდაიქმნება ანგარიშგების თარიღისთვის არსებული ტარიფის მიხედვით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას გაცვლითი კურსის სხვაობით, შეიცავს მოგების ან ზარალის ანგარიშგებას და სხვა სრულ შემოსავალს მოცემული პერიოდისთვის.

ქვემოთ მოცემულია გაცვლითი კურსები წლის ბოლოსთვის, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ამ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის:

	31/12/2019	31/12/2018
ლარი/აშშ დოლარი	2.8677	2.6766
ლარი/ევრო	3.2095	3.0701

საშემოსავლო გადასახადი. საშემოსავლო გადასახადები გათვალისწინებულია საანგარიშო პერიოდის მოქმედი ან არსებითად ამოქმედებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა

დაამტკიცა კორპორატიული დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს ყველა სუბიექტისთვის, გარკვეული ფინანსური ინსტიტუტების გარდა. შეცვლილი მოდელი გულისხმობს კორპორატიული გადასახადის ნულოვან ტარიფს გაუნაწილებელ მოგებაზე და კორპორატიული გადასახადის 15% ტარიფს განაწილებულ მოგებაზე წინა მოდელთან შედარებით, როდესაც გადასახადის 15%-იანი განაკვეთის ამოღება ხდებოდა დაბეგვრამდე კომპანიის მიერ მიღებული მოგებიდან, განურჩევლად დაკავების თუ განაწილების სტატუსისა.

მოგების გადასახადის ახალი წესები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს მდგომარეობით, იგი ვრცელდება კომპანიაზე; საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც ფაქტობრივ, ისე სავარაუდო მოგების გადანაწილებას შემდეგის ჩათვლით:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადასახადები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
- საქონლის / მომსახურების და / ან სახსრების უფასო მიწოდება, და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აღემატება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ რაოდენობას.

მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე აღიარებულია, როგორც ხარჯი იმ მომენტში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდება და აღირიცხება "საშემოსავლო გადასახადად" მოგების ან ზარალის ბალანსში. მიმდინარე და წინა პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და საგადასახადო ვალდებულებები ფასდება იმ ოდენობით, რომელიც სავარაუდოდ მიღებულ იქნება ან გადახდილი საგადასახადო უწყებისთვის.

გადასახადი, რომელიც დაწესებულია მოგების განაწილების გარდა სხვა სფეროებზე, აღირიცხება, როგორც „საგადასახადო ხარჯებს“ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

გადასახადებით დაბეგვრის შეცვლილი კონცეფციის გამო, აქტივების და ვალდებულებების დასაბეგრი ბაზა კარგავს თავის ეკონომიკურ მნიშვნელობას და გადავადებული საგადასახადო დავალიანება და აქტივები, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 12-ით, არ გამოიყენება კორპორატიული დაბეგვრის ახალი მოდელის მიხედვით.

ქონება, დანადგარები და აღჭურვილობა. ქონება, დანადგარები და ტექნიკა/ძირითადი საშუალებები აღირიცხება პირველადი ღირებულებით, რასაც აკლდება გაუფასურების ნიადაგზე დაგროვილი ამორტიზაციისა და რეზერვის ხარჯი.

ქონების, დანადგარების და ტექნიკის/ძირითადი საშუალებების და კომპონენტების მცირე რემონტისა და მოვლა-შენახვის ხარჯები კაპიტალიზდება და ხდება შეცვლილი ნაწილის ჩამოწერა.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არის თუ არა რაიმე ნიშნები ქონების, დანადგარების და ტექნიკის/ძირითადი საშუალებების გაუფასურების შესახებ. თუ ასეთი მითითება არსებობს, მენეჯმენტი აფასებს ანაზღაურებულ თანხას, რომელიც აქედან უფრო მეტი მაჩვენებლის მატარებლით: აქტივის სამართლიანი ღირებულება გაყიდვის ხარჯების გამოკლებით და გამოყენების ფასი.

საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებულ თანხამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში წლის მანძილზე. წინა წლებში აქტივისათვის აღიარებული გაუფასურების ზარალი ანაზღაურდება საჭიროების შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილების შედეგად გამოყენებულ შეფასებას, აქტივის ღირებულების განსაზღვრის ან გასაყიდად რეალურ ღირებულებაზე ნაკლებ გაყიდვის ხარჯებს.

მოგება და ზარალი განკარგვისას განისაზღვრება საბალანსო ღირებულების შემოსავალთან შედარების გზით და წლის მოგებასა და ზარალში აღიარდება სხვა შემოსავალთან ან ხარჯებთან.

ამორტიზაცია. ქონების, დანადგარების და აღჭურვილობის ამორტიზაცია გამოითვლება სწორი ხაზის გამოყენებით, მათი ხარჯების ნარჩენი ღირებულებებისთვის გამოყოფის მიზნით, მათი სავარაუდო სასარგებლო მოხმარების განმავლობაში.

სავარაუდო სასარგებლო ვადა, ნარჩენი ღირებულებები და ამორტიზაციის მეთოდი განიხილება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, სავარაუდო საფუძველზე აღრიცხული იქნება ნებისმიერი ცვლილების შედეგი.
ამორტიზაციის განაკვეთები შემდეგია:

	ამორტიზაციის განაკვეთი
მანქანა-დანადგარები	20%
ტრანსპორტი	20%
საოფისე აპარატურა	20%
სხვა	20%

აქტივის ნაშთი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია მოიპოვებდა არსებულ დროს აქტივის განკარგვიდან, განკარგვის სავარაუდო ხარჯების გამოკლებით, თუკი აქტივი არის უკვე იმ ხნის და მდგომარეობის, რომ ვადის ბოლოს შესაძლებელი იქნება მისი სასარგებლო გამოყენება. აქტივების ნარჩენი ღირებულებები

და სასარგებლო ვადა მოწმდება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ქონების, დანადგარების და ტექნიკის/ძირითადი საშუალებების ობიექტის აღიარება წყდება მისი განკარგვისას ან მაშინ, როდესაც აქტივის სამომავლო გამოყენებიდან აღარ არის მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებელი; ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ქონების, დანადგარების და ტექნიკის/ძირითადი საშუალებების განკარგვისას ან გაუქმებისას, განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვის შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომლებსაც განსაზღვრული სასარგებლო ვადა აქვთ, აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით, რომელსაც აკლდება გაუფასურების შედეგად დამდგარი აკუმულირებული ამორტიზაციის და ზარალის ხარჯი. ამორტიზაცია აღიარებულია პირდაპირი ხაზით, მათი სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში. სავარაუდო სასარგებლო ვადის ხანგრძლივობა და ამორტიზაციის მეთოდი განიხილება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, შეფასების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი ცვლილების შედეგების გათვალისწინებით, სავარაუდო საფუძველზე. არამატერიალური აქტივების მიმართ ამორტიზაციის განაკვეთი არის 15% და გამოიყენება ხაზოვანი მეთოდით.
არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი განკარგვისას ან მაშინ, როდესაც აქტივის სამომავლო გამოყენებიდან აღარ არის მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებელი; არამატერიალური აქტივის გაუქმების შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი ფასდება და განისაზღვრება, როგორც სხვაობა სუფთა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, იგი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის გაუქმება.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ამოწმებს თავისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს იმის დასადგენად, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება იმის შესახებ, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების შედეგად ზარალი. თუ ასეთი მითითება არსებობს, ხდება აქტივის ანაზღაურებადი თანხის შეფასება გაუფასურების ზარალის მოცულობის დასადგენად (ასეთის არსებობის შემთხვევაში). როდესაც შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის ანაზღაურებადი თანხის დადგენა, კომპანია აფასებს ფულადი ნაკადებიდან გენერირებული ერთეულის ანაზღაურებულ რაოდენობას, რომელსაც აქტივი მიეკუთვნება. როდესაც შესაძლებელია განაწილების

გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა, კორპორატიული აქტივები ასევე განაწილდება ფულადი ნაკადებიდან გენერირებულ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვაგვარად - განაწილდება ფულადი ნაკადებიდან გენერირებული ცალკეულ ერთეულების მცირეს ჯგუფებზე, რისთვისაც შესაძლებელია გონივრული და თანმიმდევრული განაწილების საფუძვლის განსაზღვრა. ანაზღაურებადი თანხა არის აღნიშნულთაგან რომელიმე: სამართლიანი ღირებულება, რომელსაც აკლდება გაყიდვის ხარჯი, და გამოყენების ღირებულება. გამოყენების ღირებულების შეფასებისას, სავარაუდო ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები დისკონტირდება მათ ამჟამინდელ ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დოსკონტირების ტარიფის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის არსებული ღირებულებისა და აქტივისთვის სპეციფიკური რისკების მიმდინარე იმ საბაზრო შეფასებებს, რისთვისაც მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებაში კორექტირება არ განხორციელებულა.
თუ აქტივის (ფულადი ნაკადებიდან გენერირებული ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც ნაკლები, ვიდრე მისი საბალანსო ღირებულება, ამ აქტივის (ან ფულადი ნაკადებიდან გენერირებული ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ოდენობამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება დაუყოვნებლივ ხდება მოგებაში ან ზარალში.
გაუფასურების ზარალის შედეგების აღდგენის შეცვლის შემთხვევაში, აქტივის (ან ფულადი ნაკადებიდან გენერირებული ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი თანხის გადასინჯულ ოდენობამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც იქნებოდა დადგენილი, რომ არა წინა წლების განმავლობაში ქონების (ან ფულადი ნაკადებიდან გენერირებული ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის ანაზღაურება დაუყოვნებლად აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური რეზერვი. სასაქონლო-მატერიალური რეზერვი მოცემულია დაბალ ფასად და წმინდა რეალიზირებული ღირებულებით. ღირებულება გამოითვლება შეწონილი საშუალო მეთოდით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება, როგორც სავარაუდო გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება დასრულების სავარაუდო ხარჯები და გაყიდვების აუცილებელი ხარჯები. საქონლის მომწოდებლები კომპანიას გადასცემენ ბონუსებს. მომწოდებლებისგან მიღებული ბონუსები გაყიდვისთვის დადგენილი ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებისთვის გამოიქვითება გაყიდვის თვითღირებულებიდან.

რეზერვები. რეზერვები აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს არსებითი ვალდებულებები წარსული მოვლენის შედეგად (სამართლებრივი ან კონსტრუქციული); სავარაუდოა, რომ კომპანიას მოეთხოვება ვალდებულების დაფარვა, ხოლო საიმედო შეფასების საფუძველზე შეიძლება დადგინდეს ვალდებულების მოცულობა.
რეზერვად აღიარებული თანხა წარმოადგენს ანაზღაურების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭიროა საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არსებული ვალდებულების დასაფარად, ვალდებულებების ირგვლივ არსებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც რეზერვები ფასდება ფულადი ნაკადების გამოყენებით, რომლებიც შეფასებულია მიმდინარე ვალდებულების დასაფარად, მისი საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ამ ფულადი ნაკადების არსებულ სიდიდეს (როდესაც დროითი ღირებულების ზეგავლენა უფრო მეტად არსებითია).
როდესაც საჭიროა ეკონომიკური სარგებელი რეზერვების ამოსაღებად მესამე პირისგან, დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება, როგორც აქტივისა, თუ პრაქტიკულად სარწმუნო ხდება, რომ ანაზღაურების მიღება შესაძლებელია და დავალიანების ოდენობა საიმედოდ შეიძლება შეფასდეს.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები. პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ აღწერილია ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერებში, თუ ეკონომიკური სარგებელის მქონე რესურსების გადინების ალბათობა არ არსებობს. პირობითი აქტივები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ ფინანსურ ანგარიშგებაში ვლინდება, როდესაც ეკონომიკური სარგებელის შემოდინება სავარაუდოა.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მონაწილე/მხარე.
ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. ტრანზაქციის ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გაცემას (გარდა ფინანსური აქტივებისა და სამართლიანი ღირებულების მქონე ფინანსური ვალდებულებებისა მოგების ან ზარალის მეშვეობით), ემატება ან მისგან გამოიქვითება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება - სიტუაციის მიხედვით - პირველადი აღიარებისას. ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების მიღებას სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის მეშვეობით, დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები. ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი შემდგომში მთლიანობაში ფასდება ან ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით - აღნიშნული დამოკიდებულია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაზე.

<u>ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია</u>

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება პირველადი აღიარების შემთხვევაში, რაც შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია პირველადი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე და კომპანიის მართვის მოდელზე. კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით შეფასებას, თუ სახეზეა ორივე პირობის თანხვედრა:

• ფინანსური აქტივი არის ბიზნეს მოდელის ფარგლებში და მისი მიზანია შეინარჩუნოს ფინანსური აქტივები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვების მიზნით, და

• ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები განსაზღვრულ დროს წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდას“ (SPPI). ამ შეფასებას უწოდებენ SPPI ტესტს და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ვალის ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს, ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა ყოველმხრივი შემოსავლით (FVTOCI).

• ფინანსური აქტივი არსებობს ბიზნეს მოდელის ფარგლებში და მიზნად ისახავს მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და

• ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები განსაზღვრულ დროს წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდას“.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის მეშვეობით (FVTPL).

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, კომპანიას შეუძლია განახორციელოს შემდეგი შეუქცევადი არჩევანი / განსაზღვრა ფინანსური აქტივის პირველადი აღიარებისას:

• კომპანიას შეუძლია შეუქცევად აირჩიოს და შეიტანოს კაპიტალის ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში, თუ გარკვეული კრიტერიუმებს აკმაყოფილებს; და

• კომპანიას შეუძლია შეუქცევად დაასახელოს სესხის ინვესტიცია, რომელიც

აკმაყოფილებს ამორტიზებულ ღირებულებას ან FVTOCI კრიტერიუმებს, რომლებიც ფასდება FVTPL– ში, თუ ამით აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად ამცირებს აღრიცხვის შეუსაბამობას.

წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, ყველა ფინანსური აქტივი გამიზნულია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად და კლასიფიცირდება პირველ ბიზნეს მოდელად - Held to collect (H2C).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი - ეს არის სესხის ინსტრუმენტის ამორტიზირებული ღირებულების და შესაბამისი პერიოდის განმავლობაში საპროცენტო შემოსავლის გადანაწილების გამოანგარიშების მეთოდი.
ფინანსური აქტივებისთვის, გარდა შეძენილი ან შექმნილი საკრედიტო გაუფასურებული ფინანსური აქტივებისა (ე.ი. აქტივების, რომლებიც კრედიტით გაუფასურებულია პირველადი აღიარებით), ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის კურსი, რომლითაც ხდება ზუსტი ფასდაკლება მომავალი სააღრიცხვო ფულადი შემოსულობებისა (მათ შორის, ყველა გადახდილი და მიღებული საკომისიო და ქულა, რომელიც შეადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, ტრანზაქციის ხარჯები და სხვა ფასდებები ან დოსკონტი), გარდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა - ვალის ინსტრუმენტის სავარაუდო ვადის განმავლობაში, ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, დავალიანების ინსტრუმენტის მთლიან საანგარიშო ღირებულებამდე პირველადი აღიარებისას. შეძენილი ან შექმნილი საკრედიტო აქტივებისთვის საპროცენტო განაკვეთი კორექტირდება კრედიტის გამოკლებით, და გაითვალისწინება სავარაუდო ფულადი ნაკადების, მათ შორის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დისკონტირება დავალიანების ინსტრუმენტის ამორტიზებულ ღირებულებამდე პირველადი აღიარებისას.

ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფასდება ფინანსური აქტივი პირველადი აღიარებისას, მინუს ძირითადი თანხის გადახდის მოცულობა, ამას ემატება კუმულაციური ამორტიზაცია საწყის ოდენობასა და ვადამოსულ თანხას შორის სხვაობის ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, რომელიც კორექტირდება ზარალის გამოქვითვით. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება არის ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება ნებისმიერი ზარალის კორექტირებამდე.

საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია ვალის ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, რომელიც ფასდება შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით და FVTOCI–ით. ფინანსური აქტივებისთვის, გარდა შეძენილი ან შექმნილი ფინანსური აქტივებისა გაუფასურებული კრედიტით, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიანი საანგარიშო ღირებულებაზე, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა, რომლებიც შემდგომში გადაიქცნენ გაუფასურებული კრედიტის მქონე აქტივებად (იხ. ქვემოთ). იმ ფინანსური აქტივების მიმართ, რომლებიც შემდგომში გადაიქცნენ გაუფასურებული კრედიტის მქონე აქტივებად, საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუ შემდგომ საანგარიშო პერიოდებში საკრედიტო რისკი გაუფასურებული კრედიტის მქონე აქტივებზე გაუმჯობესდება ისე, რომ ფინანსური აქტივი აღარ იყოს გაუფასურებული კრედიტის მქონე, საპროცენტო შემოსავალი აღიარებულ იქნება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, ფინანსური აქტივის მთლიანი საანგარიშო ღირებულებაზე.
შეძენილი ან გაუფასურებული კრედიტის მქონე შექმნილი ფინანსური აქტივებისთვის კომპანია სცნობს საპროცენტო შემოსავალს საკრედიტო-რეგულირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, პირველადი აღიარებიდან ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე. გაანგარიშება არ აბრუნებს მთლიან შემოსავალს მაშინაც კი, თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი შემდგომში გაუმჯობესდება ისე, რომ იგი აღარ იყოს ფინანსური აქტივი გაუფასურებული კრედიტით.

გრძელვადიანი ინვესტიცია. გრძელვადიანი ინვესტიციები მოიცავს კომპანიის მფლობელობაში არსებულ კორპორატიულ ობლიგაციას. გრძელვადიანი ინვესტიციები ხორციელდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება არის არა-წარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის ქვოტირებული აქტიურ ბაზარზე. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდით, რასაც აკლდება გაუფასურების მოცულობა. საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებისა, როდესაც ფასდაკლების ეფექტი არა-არსებითია.

ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები. ფულადი სახსრების და ფულადი ეკვივალენტების შემადგენლობაში შედის ფულადი სახსრები, დეპოზიტები, რომლებიც არსებობს ბანკში მოთხოვნამდე, ან სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი ვადით. ფულადი სახსრები და ფულადი ეკვივალენტები ხორციელდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამორიცხულია ფულადი სახსრებისა და ფულადი ეკვივალენტებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთი, რომლის გადაცვლაც ან გამოყენებაც არ შეიძლება ვალდებულებების დასაფარად, სულ მცირე, თორმეტი თვის მანძილზე დღიდან ანგარიშგების თარიღისა, შედის ფულად სახსრებში გარკვეული შეზღუდვებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომელიც სარგებლობს სავარაუდო ზარალის რეზერვით მთელი დებიტორული დავალიანების და აქტივების სავარაუდო სასარგებლო ვადის მანძილზე; ამიტომ, ფულადი სახსრების და ფულადი ეკვივალენტებისა და სავაჭრო დებიტორული დავალიანების კუთხით, კომპანია არ აკონტროლებს საკრედიტო რისკის ცვლილებებს, სამაგიეროდ, ცნობს ზარალის ანაზღაურებას/რეზერვს თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მანძილზე. კომპანიამ შეიმუშავა მიდგომა რეზერვის შექმნის მიზნით, რომელიც დაფუძნებულია ისტორიული საკრედიტო ზარალის გამოცდილებაზე და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი საპროგნოზო ფაქტორების გათვალისწინებით.
კომპანია ფინანსურს აქტივს განიხილავს დეფოლტად, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები არ ხორციელდება ვადამოსვლიდან 90 დღის განმავლობაში. ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ასევე მიიჩნიოს ფინანსური აქტივი ვალდებულების შეუსრულებლობად, თუკი შიდა ან გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ კომპანია ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს სრულად, კომპანიის საკრედიტო გაუმჯობესების გათვალისწინებით.

უიმედო აქტივები ჩამოწერილ იქნება გაუფასურების ზარალისთვის არსებული რეზერვის ხარჯზე მას, შემდეგ რაც დასრულდება აქტივების ანაზღაურების ყველა აუცილებელი პროცედურა და დადგინდება ზარალის ოდენობა. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ანაზღაურება ექვემდებარება გაუფასურების ზარალის შეტანას წლის მოგების ან ზარალის ფარგლებში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ მაშინ, როდესაც აქტივის მხრიდან ფულადი სახსრების გადინების

შესახებ სახელშეკრულებო უფლებების ვადა ამოიწურა, ან როდესაც იგი გადასცემს ფინანსურ აქტივს და არსებითად ყველა რისკებსა და სარგებელს სხვა პირს. თუ კომპანია არც გადაცემს ან ვერ ინარჩუნებს საკუთრების უფლების ყველა რისკს და სარგებელს და განაგრძობს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს აქტივში მის შენარჩუნებულ წილს და, ასევე, თანმდევ პასუხისმგებლობას იმ თანხების მიმართ, რომელთა გადახდამაც მას შეიძლება მოუწიოს. თუ კომპანია არსებითად ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის ყველა რისკს და სარგებელს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე სესხის უზრუნველყოფას მიღებულ შემოსავალზე.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებული და მისაღები დარიცხვის ოდენობას შორის სხვაობა აღიარებული იქნება მოგებაში ან ზარალში. გარდა ამისა, FVTOCI- ში კლასიფიცირებული ვალის ინსტრუმენტში ინვესტიციის აღიარების შეწყვეტისას ინვესტიციების გადაფასების რეზერვში ადრე დაგროვილი მოგება ან ზარალი კლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები და წილის ინსტრუმენტები

<u>კლასიფიკაცია, როგორც ვალი ან კაპიტალი</u>

კომპანიის მიერ გაცემული ვალი და წილის ინსტრუმენტები კლასიფიცირდება ან როგორც ფინანსური ვალდებულებები, ან როგორც კაპიტალი, ხელშეკრულების შეთანხმების არსისა და ფინანსური ვალდებულებისა და კაპიტალის ინსტრუმენტის განმარტებების შესაბამისად.

<u>წილის ინსტრუმენტები</u>

წილის ინსტრუმენტია ნებისმიერი კონტრაქტი, რომლითაც დასტურდება სუბიექტის ქონებაში ნაშთი პროცენტის არსებობა მისი ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილის ინსტრუმენტების აღიარება ხდება მიღებული შემოსავლით, პირდაპირი გაცემის ხარჯების გარეშე.

კომპანიის საკუთარი წილის ინსტრუმენტების ხელახლა შესყიდვა აღიარებულ იქნება და გამოიქვითება პირდაპირ კაპიტალში. მოგება ან ზარალი არ არის აღიარებული მოგებაში ან ზარალში კომპანიის საკუთარი წილის ინსტრუმენტების შეძენის, გაყიდვის, გაცემის ან გაუქმების დროს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები (წარმოდგენილია სესხებით, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებით, რომლებიც ექვემდებარება გადახდას, ასევე, გადასახდელი დივიდენდები) შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულებების აღიარებას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები შესრულებულია, გაუქმებულია ან მათი ვადა ამოწურულია. აღიარება-შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ პროცენტს შორის სხვაობა აღიარებული იქნება მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

დივიდენდები. დივიდენდები აღიარებულია კაპიტალში, როგორც ამ პერიოდის განმავლობაში შემცირება, რომელშიც მოხდა მათი გამოცხადება. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდგომი მოვლენა და შესაბამისად ხდება მათი გამჟღავნება.

გადასახადების და მოსაკრებლების წინასწარ გადახდა. გადასახადების წინასწარ გადახდა აღირიცხება მათი ნომინალური ღირებულებით, რასაც აკლდება რეზერვი საანგარიშო შეუქცევადი თანხისთვის. საშემოსავლოს გარდა გადასახადის გადახდა აღირიცხება მათი ნომინალური ღირებულებით.

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გროვდება ერთ საგადასახადო ანგარიშზე საქართველოს შემოსავლების სამსახურში. ანგარიშსწორება ხდება წმინდა საფუძველზე.

მიმწოდებლებისთვის წინასწარ გადახდა. მომწოდებლებთან დაკავშირებული თანხები აღირიცხება მათი ღირებულებით, რასაც აკლდება აუნაზღაურებადი თანხების რეზერვი.

4. კრიტიკული აღრიცხვის შეფასებები და მოსაზრებები საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანიის სააღრიცხვო პოლისების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია მე-3 შენიშვნაში, ხელმძღვანელობას მოეთხოვება წარმოადგინოს მოსაზრებები, შეფასებები და ვარაუდები აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების შესახებ, რომლებიც არ ჩანს სხვა წყაროებიდან. შეფასებები და მათთან დაკავშირებული ვარაუდები ემყარება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა შესაბამისად. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებები და ძირითადი ვარაუდები განიხილება მიმდინარე საფუძვლით. ბუღალტრული აღრიცხვის შეფასებებში შესწორებები აღიარებულია იმ პერიოდში, რომელშიც ხდება შეფასების გადასინჯვა, თუკი გადასიჯვა ზეგავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე, ან გადასინჯვის პერიოდსა და მომავალ პერიოდებზე, და თუ ეს გადასინჯვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე მომავალ პერიოდებზე.

ქვემოთ მოცემულია კრიტიკული განსჯები, გარდა იმ შეფასებებისა (იხ. ქვემოთ), რომლებიც მიღებულ იქნა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში და რომლებმაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანია ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს იმ სავარაუდო ზარალის გათვლისთვის, რომლებიც წარმოიშვნენ კლიენტის მხრიდან აუცილებელი ანგარიშსწორების უუნარობის გამო ან მიმწოდებლებისთვის შეთანხმებული პროდუქტის ან მომსახურების სანაცვლოდ შესაბამისი თანხის გადახდისუუნარობის გამო. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ადეკვატურობის შეფასებისას, ხელმძღვანელობა ეყრდნობა შეფასებას მიმდინარე საერთო ეკონომიკური პირობების, დებიტორული დავალიანების და წინასწარი გადახდილი თანხების ნაშთების ვადის, ისტორიული ჩამოწერის გამოცდილების, მომხმარებელთა და მიმწოდებლების სანდოობის და გადახდის პირობებში განხორციელებულ ცვლილებებს. ეკონომიკაში, ინდუსტრიაში ან სპეციფიკურ მომხმარებლისა და მიმწოდებლის პირობებში ცვლილებებმა შეიძლება მოითხოვოს ფინანსური ანგარიშგებაში აღრიცხული მოსალოდნელი ზარალის კორექტირება.
2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელმა საკრედიტო ზარალმა შეადგინა შესაბამისად 4,047 ათასი ლარი და 3,910 ათასი ლარი.

5. შემოსავალი

თარგმანი დედანთან სწორია: /ნინო თოდრია/
Translation is identical to the original: /Nino TODRIA/

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დაბოლოებული წლების განმავლობაში კომპანიის მთლიანი შემოსავალი შეადგენდა ალკოჰოლური სასმელების გაყიდვებიდან მიღებულ თანხას.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დაბოლოებული წლების განმავლობაში მთლიანი შემოსავლის ორმოცდათექვსმეტი და ორმოცდახუთი პროცენტი დაკავშირებული მხარეების მიმართ განხორციელებულ გაყიდვებზე მოდიოდა.

6. გაყიდვების ღირებულება

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დაბოლოებული წლების განმავლობაში კომპანიის გაყიდული საქონლის ღირებულება ალკოჰოლური სასმელების ღირებულებას შეადგენდა.

7. ხარჯების განაწილება

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დაბოლოებული წლების განმავლობაში კომპანიის ხარჯების განაწილება ამგვარად გამოიყურებოდა:

	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
რეკლამის ხარჯი	4,321	3,904
სახელფასო და მასთან დაკავშირებული გადასახადი	1,234	1,828
ტრანსპორტირების ხარჯი	159	182
გაუფასურება და ამორტიზაცია	92	130
მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების აქტივებთან დაკავშირებული ხარჯები	31	298
სულ	**5,837**	**6,342**

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დაბოლოებული წლების განმავლობაში კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შედგებოდა შემდეგისგან:

	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ხელფასი და მასთან დაკავშირებული ხარჯები	877	989
დებიტორული დავალიანების და წინმსწრები დაფარვის გაუფასურების ზარალი	779	326
ცვეთა და ამორტიზაცია	335	115
წარმომადგენლობითი ხარჯები	191	43
მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების აქტივებთან დაკავშირებული ხარჯები	170	87
პროფესიონალური მომსახურება	143	196
ბანკის საკომისიო	47	29
კომუნიკაცია	41	33
დაზღვევის ხარჯი	33	42
მივლინების ხარჯები	29	103
საკანცელარიო	27	22
კომუნალური მომსახურება	16	18
დაცვა	1	1
სხვა	172	161
სულ	**2,851**	**2,165**

9. გრძელვადიანი ინვესტიცია

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს გრძელვადიანი ინვესტიცია წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

CCY	საპროცენტო განაკვეთი	გადახდის ვადა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018

კორპორატიული ობლიგაცია	აშშ დოლარი	7.75%	ივნისი-24	9,839	-
სულ გრძელვადიანი ინვესტიცია				**9,839**	**-**

კომპანიამ შეიძინა სუბიექტ სს თიბისი ბანკ ჯორჯიას მიერ გამოშვებული კორპორატიული ობლიგაცია. კორპორატიული ობლიგაცია შეძენილ იქნა 36 ათასი აშშ დოლარის ფასდაკლებით, ხოლო ვადის მოსვლისას მიღებულ იქნება ნომინალური თანხა 3,456 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. კორპორატიულ ობლიგაციებს კომპანიას ფლობს ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია შეაგროვოს მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც ცალსახად წარმოადგენს ძირითადი თანხის და მასზე რიცხული დაუფარავი პროცენტის ანგარიშსწორებას. ამრიგად, კორპორატიული ობლიგაციები კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით.

ნაშთი არ არის დაგვიანებული და მიღებულ უნდა იქნეს ბანკისგან Fitch Ratings-ის მიერ შეფასებული BB-ით (გრძელვადიანი რეიტინგით), შესაბამისად, დანაკლისის აღიარება არ ხდება ბალანსზე.

10. უფლებით სარგებლობის აქტივები და საიჯარო პასუხისმგებლობა

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, უფლებით სარგებლობის აქტივების ნაშთები შემდეგნაირი სახით იყო წარმოდგენილი:

	საწყობები
ღირებულება	
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	1,157
იჯარის მოდიფიკაცია	133
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**1,290**
გაუფასურება	
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	-

გაუფასურება წლის მანძილზე	(229)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**(229)**
საბალანსო ღირებულება	**1,061**

იჯარის პასუხისმგებლობის მოძრაობა 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემდეგნაირად იქნა წარმოდგენილი:

ნაშთი ვადის დასაწყისში	**2019**
პირველადი აღიარება	1,157
დამატება	133
პროცენტის ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	114
იჯარის პროცენტის დაფარვა	(114)
იჯარის ძირი თანხის დაფარვა	(178)
ნაშთი ვადის ბოლოს	**1,112**

უფლებით სარგებლობის აქტივებისთვის იჯარის საშუალო შეწონილი ვადაა 5 წელი, ხოლო საშუალო შეწონილი ტარიფი მოიჯარის დამატებით სესხზე გამოიყენება საიჯარო ვალდებულებებზე და შეადგენს 10.8%.

მოგებასა და ზარალში აღიარებული თანხები	**2019**
ხარჯის გაუფასურება	(229)
პროცენტის ხარჯი	(114)
მოკლე ვადიან იჯარებსა და დაბალი ღირებულების საგნებთან დაკავშირებული ხარჯი	(201)
სულ	**(544)**

საიჯარო ვალდებულება	**31 დეკემბერი 2019**	
ვადამოსვლის ანალიზი	**კრედიტორული დავალიანება ფინანსური იჯარის პირობებში**	**მომავალი ფინანსური ხარჯი**
წელი 1	220	105
წელი 2	244	80
წელი 3	271	54
წელი 4	300	25
წელი 5	77	2
სულ საიჯარო ვალდებულება	**1,112**	**266**

თარგმანი დედანთან სწორია: /ნინო თოდრია/
Translation is identical to the original: /Nino TODRIA/

11. ინვენტარი

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს ინვენტარი შემდეგი სახით იქნა წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მზა პროდუქტი	11,194	6,748
სხვა	43	-
სულ	**11,237**	**6,748**

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინვენტარი, რომლის ღირებულება შეადგენდა, შესაბამისად, 11,237 ათას ლარს და 6,748 ათას ლარს, კომპანიამ დატვირთა სესხების უზრუნველყოფის სახით (შენიშვნა 15).

12. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს სავაჭრო დებიტორული დავალიანება, დაუბრუნებელ თანხაზე რეზერვის გამოკლებით, იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	17,172	16,428
სხვა დებიტორული დავალიანება	642	265
	17,814	**16,693**
ნაკლები: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი/ რეზერვი დაუბრუნებელი თანხებისთვის	(4,047)	(3,910)
სულ	**13,767**	**12,783**

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დებიტორული სახსრები, რომელთა ღირებულება შეადგენდა, შესაბამისად, 13,767 ათას ლარს და 12,783 ათას ლარს, კომპანიამ დატვირთა სესხების უზრუნველყოფის სახით (შენიშვნა 15).

აღიარებული გაუფასურება წარმოადგენს სხვაობას ამ სავაჭრო დებიტორული დავალიანების ღირებულებასა და მოსალოდნელი სალიკვიდაციო შემოსავლების მიმდინარე ღირებულებას შორის. კომპანია არ ფლობს რაიმე უზრუნველყოფას ამ ნაშთებზე. საკრედიტო რისკის კონცენტრაცია შეზღუდულია იმის გამო, რომ მომხმარებელთა ბაზა დიდია და არ არის დაკავშირებული.

ვაჭრობისა და სხვა დებიტორული სახსრების ანალიზით ნაჩვენები იქნა შემდეგი:

31 დეკემბერი 2019 (ლარი'000)	არ არის ვადა-გადაცდენილი	- 30 დღეზე ნაკლები ვადა-გადაცილება	- 32–დან 60 დღემდე ვადა-გადაცილება	- 61–დან 90 დღემდე ვადა-გადაცილება	- 90 დღეზე მეტით ვადა-გადაცილება	სულ
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება ვალდებულების შეუსრულებლობისას	12,242	724	1,125	435	3,288	**17,814**
მუდმივი ECL	(245)	(72)	(225)	(217)	(3,288)	**(4,047)**

31 დეკემბერი 2018 (ლარი'000)	არ არის ვადა-გადაცდენილი	- 30 დღეზე ნაკლები ვადა-გადაცილება	- 32–დან 60 დღემდე ვადა-გადაცილება	- 61–დან 90 დღემდე ვადა-გადაცილება	- 90 დღეზე მეტით ვადა-გადაცილება	სულ
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება ვალდებულების შეუსრულებლობისას	10,598	1,207	892	1,195	2,801	**16,693**
მუდმივი ECL	(212)	(121)	(178)	(598)	(2,801)	**(3,910)**

კომპანია ყოველთვის ზომავს ვაჭრობისა და სხვა დებიტორული დავალიანების ზარალის რეზერვს ECL–ის ტოლი ოდენობით. სავაჭრო დებიტორულ სახსრებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენა ხდება მოვალის ადრინდელი დეფოლტის შემთხვევის გათვალისწინებით და მისი (მოვალის) მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის ანალიზით, მოვალისთვის სპეციფიკური ფაქტორების მხედველობაში მიღებით, ინდუსტრიის იმ ზოგადი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, სადაც მოვალეები საქმიანობენ და როგორც მიმდინარე, ისე პირობების საპროგნოზო მიმართულებების შეფასებით საანგარიშო თარიღისთვის. კომპანიამ აღიარა 100 პროცენტიანი ზარალის ანაზღაურება ყველა დებიტორული დავალიანების კუთხით

გასული 90 დღის განმავლობაში, რადგან ისტორიულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეს დებიტორული დავალიანება, ზოგადად, არ ანაზღაურდება.
კომპანია ჩამოწერს სავაჭრო დავალიანებას, როდესაც არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოვალეს შეექმნა მძიმე ფინანსური ვითარება და არ არსებობს მისი გამოსწორების რეალური პერსპექტივა.
ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ECL–ის მოძრაობა, რომელიც აღიარებულია სავაჭრო დებიტორული სესხებისთვის, ფასს 9–ით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომის შესაბამისად.

2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის ბოლოსთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მოძრაობა შემდეგნაირია:

	საკრედიტო ზარალის მოსალოდნელი მოძრაობა
ნაშთი 2018 წლის 1–ლ იანვარს	**3,527**
გაუფასურების რეზერვი / (რეზერვის აღდგენა)	867
ჩამოწერილი თანხა	(484)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**3,910**
გაუფასურების რეზერვი / (რეზერვის აღდგენა)	769
ჩამოწერილი თანხა	(632)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**4,679**

2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების მთლიან სავალუტო ღირებულებებში შესაბამისი მოძრაობები შემდეგნაირია:

	მთლიანი საბალანსო თანხის მოძრაობა
ნაშთი 2018 წლის 1–ლ იანვარს	**18,244**
ახალი სავაჭრო და სხვა დავალიანების	12,910
დაფარვა	(13,914)
ჩამოწერილი თანხა	(547)

ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**16,693**
ახალი სავაჭრო და სხვა დავალიანების	3,596
დაფარვა	(1,843)
ჩამოწერილი თანხა	(632)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**17,814**

13. ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს ფულადი სახსრები და ეკვივალენტები შემდეგი სახით იქნა წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაღდი ფული ხელზე	3	50
ნაღდი ფული ბანკში	1,592	1,134
სულ	**1,595**	**1,184**

ბანკების ანგარიშზე არ ისახება ვადაგასული ნაშთი. მოკლევადიანი ბუნების გამო ბანკებში ნაშთებისთვის არ არის აღიარებული ზარალი. საბანკო ნაშთები მოიცავს საქართველოში ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებს, რომლებიც გამოიყენება კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მიზნით.

რაც შეეხება 2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიის ბანკებში ფულადი სახსრების უმეტესი ნაწილი Fitch Ratings- ის მიერ შეფასებულია, როგორც B (მოკლევადიანი რეიტინგი), BB- (გრძელვადიანი რეიტინგი).

14. საწესდებო კაპიტალი

2019 წლის და 2018 წლის განმავლობაში კომპანიის აქციონერთა მიერ განხორციელებულ იქნა შენატანი საწესდებო კაპიტალში – შესაბამისად 12,632 ლარისა და 1,650 ათასი ლარის ოდენობით.

2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის საწესდებო და გადახდილი კაპიტალი შეადგენდა 15,584 ათას ლარს და 2,952 ათას ლარს.

15. კრედიტები

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს სესხები წარმოდგენილ იქნა შემდეგი სახით:

	CCY	ვადამოსვლა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
უზრუნველყოფილი სესხები და კრედიტები:				
სს თი ბი სი ბანკი	ლარი	ნოემბ–20	16,763	16,879
სს თი ბი სი ბანკი	ლარი	იანვ–20	10,194	-
არა-უზრუნველყოფილი სესხები და კრედიტები:				
შპს საქართველოს დისტრიბუცია-მარკეტინგის კომპანია	ლარი	მარტი–20	19	2,419
სულ სესხები და კრედიტები			**26,976**	**19,298**
მოკლევადიანი სესხები და კრედიტები			26,976	19,298
გრძელვადიანი სესხები და კრედიტები			-	-
			26,976	**19,298**

სესხები "თიბისი ბანკი"-საგან უზრუნველყოფილ იქნა კომპანიის ინვენტარის, ქონების, დანადგარების და აღჭურვილობის და დებიტორული სავაჭრო დავალიანების უზრუნველყოფით.

სესხების დაფარვა მოხდება შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
დასაფარი ერთ თვეში	9,910	2,431
დასაფარი ერთიდან სამ თვეში	8,760	-

თარგმანი დედანთან სწორია: /ნინო თოდრია/
Translation is identical to the original: /Nino TODRIA/

დასაფარი სამიდან თორმეტ თვეში	8,306	16,867
სულ სესხები და კრედიტები	**26,976**	**19,298**

სესხების მოძრაობა 2019 წლის 31 დეკემბერსა და 2018 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	წელი 2019	წელი 2018
წმინდა სესხი ვადის დასაწყისში	**19,298**	**14,597**
ძირითადი დამატება	81,211	68,685
დარიცხული პროცენტი	1,802	1,304
გადახდილი ძირი	(73,634)	(64,043)
გადახდილი პროცენტი	(1,701)	(1,245)
წმინდა სესხი ვადის ბოლოს	**26,976**	**19,298**

სესხების მოძრაობა დაკავშირებულია საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანხების მოკლევადიან ანაზღაურებებსა და დაფარვებთან, რომელიც ბანკებთან არის შეთანხმებული კომპანიის საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად.

16. სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანება

სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანება, რომლებიც გადასახდელია 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, შემდეგნაირი სახით იქნა წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო საკრედიტო დავალიანება სასაქონლო–მატერიალური რეზერვისთვის	674	3,032
სავაჭრო საკრედიტო დავალიანება მომსახურებისთვის	316	505
სხვა გადასახდელი	93	82

სულ	1,083	3,619

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი გადასახდელების 84% კონცენტრირებულია ერთ მომწოდებელ კომპანიაში – შპს GD Group–ში, რომელიც წარმოადგენს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ იურიდიულ პირს.

17. ფინანსური ინსტრუმენტები

სამართლიანი ღირებულების შეფასების ანალიზი ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეზე შემდეგნაირად: (i) პირველი დონე არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე ქვოტირებული ფასების (დაუკორექტირებელი) გაზომვები, (ii) მეორე დონის გაზომვები არის შეფასების მეთოდები ყველა არსებითი ამოსავალი მონაცემებით, რომლებიც ვლინდება აქტივებსა და ვალდებულებებში უშუალოდ (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირი გზით (ანუ, ფასებიდან გამომდინარე), და (iii) მესამე დონის გაზომვები არის შეფასებები, რომლებიც არ ეყრდნობა ბაზრის მონაცემებს (შეუმჩნეველი მონაცემები). მენეჯმენტი გადაწყვეტილებას ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციის საკითხზე იღებს სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით. თუ სამართლიანი ღირებულების გაზომვა იყენებს ხილვად მონაცემებს, რომლებიც მნიშვნელოვან კორექტირებას საჭიროებენ, მაშინ ეს გაზომვა იქნება მესამე დონის გაზომვა. შეფასების მნიშვნელობა ფასდება რეალური ღირებულების გაზომვით მთლიანობაში.

ფინანსური აქტივები, რომლებიც ჩათვლილია ამორტიზაციის ღირებულებით. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება დაფუძნებულია სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ფასებზე, რომლებიც მიღებულ უნდა იქნეს ფასდაკლებით და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით იმავე საკრედიტო რისკის მქონე ინსტრუმენტებისთვის და დარჩენილი დაფარვის ვადით. გამოყენებული ფასდაკლებით განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანებების და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მიახლოებით იგივეა, რაც სამართლიანი ღირებულება – დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე. გრძელვადიანი ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება შეადგენს 9,778 ათას ლარს.

ვალდებულებების საამორტიზაციო ღირებულება. ინსტრუმენტების ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის სავარაუდო სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდა მოსალოდნელი ფულადი ნაკადის დისკონტირებაზე დაყრდნობით და მიმდინარე

საპროცენტო განაკვეთით იმავე საკრედიტო რისკის მქონე ინსტრუმენტებისთვის და დარჩენილი დაფარვის ვადით. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფინანსურ ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომელიც ისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს.
ფულისა და ნაღდი ფულადი ეკვივალენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა პირველი დონის გაზომვით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა 3–ე დონის გაზომვის გამოყენებით.

კაპიტალის რისკის მენეჯმენტი – კომპანია მართავს საკუთარ კაპიტალს იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესძლოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელება და, ამავდროულად, ამონაგების მაქსიმალურად გაზრდა კაპიტალში სესხის და კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზაციით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ამ განხილვების შედეგებიდან გამომდინარე, კომპანია გარკვეულ ნაბიჯებს დგამს მისი კაპიტალის მთლიანი სტრუქტურის დაბალანსების მიზნით დივიდენდების გადახდის გზით, ასევე ახალი სესხებისა და კრედიტების აღების გზით ან არსებული სესხებისა და კრედიტების გამოსყიდვის გზით.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს საკუთარი და სასესხო კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი ასეთი იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სესხები	26,976	19,298
ნაღდი ფული და ექვივალენტები	(1,595)	(1,184)
წმინდა სესხები	25,381	18,114
კაპიტალი	9,217	(2,952)
წმინდა ვალი კაპიტალში	2.75	(6.14)

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები – კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და კრედიტებს, სავაჭრო და სხვა გადასახდელ თანხებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ოპერაციებისთვის დაფინანსების გაზრდა. კომპანიას აქვს სხვადასხვა ფინანსური აქტივები, როგორიცაა სავაჭრო და სხვა დებიტორული და ფულადი სახსრები და ექვივალენტები.

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური აქტივები		

გრძელვადიანი ინვესტიცია	9,839	-
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	13,767	12,783
ნაღდი ფული და ექვივალენტები	1,595	1,184
სულ ფინანსური აქტივები	**25,201**	**13,967**

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	1,112	-
სესხები	26,976	19,298
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,083	3,619
სულ ფინანსური ვალდებულებები	**29,171**	**22,917**

კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტებიდან გამომდინარე ძირითადი რისკებია უცხოური ვალუტის, საპროცენტო ტარიფის, კრედიტის და ლიკვიდურობის რისკები.

გეოგრაფიული რისკი. კომპანიის აქტივები მდებარეობს საქართველოში და მისი ბიზნეს გეგმები კრიტიკულად არის დამოკიდებული ქვეყანაში სტაბილურობასა და კანონის უზენაესობაზე. საქართველო აგრძელებს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების დემონსტრირებას. როგორც ასეთი, კომპანიაზე ზეგავლენას ახდენს ქვეყნის შიგნით ბიზნესის ან სამართლებრივი გარემოს გაუარესება.

უცხოური ვალუტის რისკი – ვალუტის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით ზემოქმედებას იწვევს იმ კურსის ცვლილება, რომელსაც კომპანია ექვემდებარება. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ოპერაციებს. კომპანია არ იყენებს რომელიმე წარმოებულს უცხოური ვალუტის რისკის ზემოქმედების მართვისთვის.

კომპანიის უცხოური ვალუტის აღრიცხული ფულადი აქტივები და ვალდებულებები, როგორც 2019 წლის 31 დეკემბერს, ისე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018

2019 წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშის შენიშვნები (გაგრძელება)
(მაჩვენებელი მოცემულია ლარში, ათასებში)

	აშშ დოლარი 1 = 2.8677 ლარი	ევრო 1 = 3.2095 ლარი	აშშ დოლარი 1 = 2.6766 ლარი	ევრო 1 = 3.0701 ლარი
ფინანსური აქტივები				
გრძელვადიანი ინვესტიცია	9,839	-		
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	-	174	11	152
ნაღდი ფული და ექვივალენტები	-	843	-	2
სულ ფინანსური აქტივები	**9,839**	**1,017**	**11**	**154**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა გადასახდელი	(18)	(664)	(3,009)	(22)
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(18)**	**(664)**	**(3,009)**	**(22)**
სულ წმინდა პოზიცია	**9,821**	**353**	**(2,998)**	**132**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ფუნქციონალური ვალუტების გამყარების/გაუფასურებისადმი 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 20% -ით.

2019 წლის 31 დეკემბერს	**აშშ დოლარი ზეგავლენა**		**ევრო ზეგავლენა**	
	ლარი/აშშ დოლარი + 20%	**ლარი/აშშ დოლარი - 20%**	**ლარი/ევრო + 20%**	**ლარი/ევრო - 20%**
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე	1,964	(1,964)	70	(70)

2018 წლის 31 დეკემბერს	**აშშ დოლარი ზეგავლენა**		**ევრო ზეგავლენა**	
	ლარი/აშშ დოლარი + 20%	**ლარი/აშშ დოლარი - 20%**	**ლარი/ევრო + 20%**	**ლარი/ევრო - 20%**

თარგმანი დედანთან სწორია: /ნინო თოდრია/
Translation is identical to the original: /Nino TODRIA/

მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე	(600)	600	26	(26)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის *აღიარებას მხოლოდ მაშინ, როდესაც აქტივის მხრიდან ფულადი სახსრების გადინების* შესახებ სახელშეკრულებო უფლებების ვადა ამოიწურა, ან როდესაც იგი გადასცემს ფინანსურ აქტივს და არსებითად ყველა რისკებსა და სარგებელს სხვა პირს. თუ კომპანია არც გადაცემს ან ვერ ინარჩუნებს საკუთრების უფლების ყველა რისკს და სარგებელს და განაგრძობს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს აქტივში მის შენარჩუნებულ წილს და, ასევე, თანმდევ პასუხისმგებლობას იმ თანხების მიმართ, რომელთა გადახდამაც მას შეიძლება მოუწიოს. თუ კომპანია არსებითად ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის ყველა რისკს და სარგებელს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე სესხის უზრუნველყოფას მიღებულ შემოსავალზე.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებული და მისაღები დარიცხვის ოდენობას შორის სხვაობა აღიარებული იქნება მოგებაში ან ზარალში. გარდა ამისა, FVTOCI- ში კლასიფიცირებული ვალის ინსტრუმენტში ინვესტიციის აღიარების შეწყვეტისას ინვესტიციების გადაფასების რეზერვში აღრე დაგროვილი მოგება ან ზარალი კლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები და წილის ინსტრუმენტები

კლასიფიკაცია, როგორც ვალი ან კაპიტალი

კომპანიის მიერ გაცემული ვალი და წილის ინსტრუმენტები კლასიფიცირდება ან როგორც ფინანსური ვალდებულებები, ან როგორც კაპიტალი, ხელშეკრულების შეთანხმების არსისა და ფინანსური ვალდებულებისა და კაპიტალის ინსტრუმენტის განმარტებების შესაბამისად.

წილის ინსტრუმენტები

წილის ინსტრუმენტია ნებისმიერი კონტრაქტი, რომლითაც დასტურდება სუბიექტის ქონებაში ნაშთი პროცენტის არსებობა მისი ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილის ინსტრუმენტების აღიარება ხდება მიღებული შემოსავლით, პირდაპირი გაცემის ხარჯების გარეშე.

კომპანიის საკუთარი წილის ინსტრუმენტების ხელახლა შესყიდვა აღიარებულ იქნება და გამოიქვითება პირდაპირ კაპიტალში. მოგება ან ზარალი არ არის აღიარებული მოგებაში ან ზარალში კომპანიის საკუთარი წილის ინსტრუმენტების შეძენის, გაყიდვის, გაცემის ან გაუქმების დროს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები (წარმოდგენილია სესხებით, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებით, რომლებიც ექვემდებარება გადახდას, ასევე, გადასახდელი დივიდენდები) შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულებების აღიარებას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები შესრულებულია, გაუქმებულია ან მათი ვადა ამოწურულია. აღიარება-შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ პროცენტს შორის სხვაობა აღიარებული იქნება მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

01030026210

თარგმანი დიდანთან სწორია: /ნინო თოდრია/

დივიდენდები. დივიდენდები აღიარებულია კაპიტალში, როგორც ამ პერიოდის განმავლობაში შემცირება, რომელშიც მოხდა მათი გამოცხადება. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდგომი მოვლენა და შესაბამისად ხდება მათი გამჟღავნება.

გადასახადების და მოსაკრებლების წინასწარ გადახდა. გადასახადების წინასწარ გადახდა აღირიცხება მათი ნომინალური ღირებულებით, რასაც აკლდება რეზერვი საანგარიშო შეუქცევადი თანხისთვის. საშემოსავლოს გარდა გადასახადის გადახდა აღირიცხება მათი ნომინალური ღირებულებით.

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გროვდება ერთ საგადასახადო ანგარიშზე საქართველოს შემოსავლების სამსახურში. ანგარიშსწორება ხდება წმინდა საფუძველზე.

მომწოდებლებისთვის წინასწარ გადახდა. მომწოდებლებთან დაკავშირებული თანხები აღირიცხება მათი ღირებულებით, რასაც აკლდება აუნაზღაურებადი თანხების რეზერვი.

4. კრიტიკული აღრიცხვის შეფასებები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანიის სააღრიცხვო პოლისების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია მე-3 შენიშვნაში, ხელმძღვანელობას მოეთხოვება წარმოადგინოს მოსაზრებები, შეფასებები და ვარაუდები აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების შესახებ, რომლებიც არ ჩანს სხვა წყაროებიდან. შეფასებები და მათთან დაკავშირებული ვარაუდები ემყარება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა შესაბამისად. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებები და ძირითადი ვარაუდები განიხილება მიმდინარე საფუძვლით. ბუღალტრული აღრიცხვის შეფასებებში შესწორებები აღიარებულია იმ პერიოდში, რომელშიც ხდება შეფასების გადასინჯვა, თუკი გადასიჯვა ზეგავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე, ან გადასინჯვის პერიოდსა და მომავალ პერიოდებზე, და თუ ეს გადასინჯვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე მომავალ პერიოდებზე.

ქვემოთ მოცემულია კრიტიკული განსჯები, გარდა იმ შეფასებებისა (იხ. ქვემოთ), რომლებიც მიღებულ იქნა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში და რომლებმაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანია ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს იმ სავარაუდო ზარალის გათვლისთვის, რომლებიც წარმოიშვნენ კლიენტის მხრიდან აუცილებელი ანგარიშსწორების უუნარობის გამო ან მიმწოდებლებისთვის შეთანხმებული პროდუქტის ან მომსახურების სანაცვლოდ შესაბამისი თანხის გადახდისუუნარობის გამო. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ადეკვატურობის შეფასებისას, ხელმძღვანელობა ეყრდნობა შეფასებას მიმდინარე საერთო ეკონომიკური პირობების, დებიტორული დავალიანების და წინასწარი გადახდილი თანხების ნაშთების ვადის, ისტორიული ჩამოწერის გამოცდილების, მომხმარებელთა და მიმწოდებლების სანდოობის და გადახდის პირობებში განხორციელებულ ცვლილებებს. ეკონომიკაში, ინდუსტრიაში ან სპეციფიკურ მომხმარებლისა და მიმწოდებლის პირობებში ცვლილებებმა შეიძლება მოითხოვოს ფინანსური ანგარიშგებაში აღრიცხული მოსალოდნელი ზარალის კორექტირება.
2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელმა საკრედიტო ზარალმა შეადგინა შესაბამისად 4,047 ათასი ლარი და 3,910 ათასი ლარი.

5. შემოსავალი

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დაბოლოებული წლების განმავლობაში კომპანიის მთლიანი შემოსავალი შეადგენდა ალკოჰოლური სასმელების გაყიდვებიდან მიღებულ თანხას.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დაბოლოებული წლების განმავლობაში მთლიანი შემოსავლის ორმოცდათექვსმეტი და ორმოცდახუთი პროცენტი დაკავშირებული მხარეების მიმართ განხორციელებულ გაყიდვებზე მოდიოდა.

6. გაყიდვების ღირებულება

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დაბოლოებული წლების განმავლობაში კომპანიის გაყიდული საქონლის ღირებულება ალკოჰოლური სასმელების ღირებულებას შეადგენდა.

7. ხარჯების განაწილება

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დაბოლოებული წლების განმავლობაში კომპანიის ხარჯების განაწილება ამგვარად გამოიყურებოდა:

	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშის შენიშვნები (გაგრძელება)
(მაჩვენებელი მოცემულია ლარში, ათასებში)

რეკლამის ხარჯი	4,321	3,904
სახელფასო და მასთან დაკავშირებული გადასახადი	1,234	1,828
ტრანსპორტირების ხარჯი	159	182
გაუფასურება და ამორტიზაცია	92	130
მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების აქტივებთან დაკავშირებული ხარჯები	31	298
სულ	**5,837**	**6,342**

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დაბოლოებული წლების განმავლობაში კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შედგებოდა შემდეგისგან:

	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ხელფასი და მასთან დაკავშირებული ხარჯები	877	989
დებიტორული დავალიანების და წინმსწრები დაფარვის გაუფასურების ზარალი	779	326
ცვეთა და ამორტიზაცია	335	115
წარმომადგენლობითი ხარჯები	191	43
მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების აქტივებთან დაკავშირებული ხარჯები	170	87
პროფესიონალური მომსახურება	143	196
ბანკის საკომისიო	47	29
კომუნიკაცია	41	33
დაზღვევის ხარჯი	33	42
მივლინების ხარჯები	29	103
საკანცელარიო	27	22
კომუნალური მომსახურება	16	18

დაცვა	1	1
სხვა	172	161
სულ	**2,851**	**2,165**

9. გრძელვადიანი ინვესტიცია

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს გრძელვადიანი ინვესტიცია წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

	CCY	საპროცენტო განაკვეთი	გადახდის ვადა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
კორპორატიული ობლიგაცია	აშშ დოლარი	7.75%	ივნისი-24	9,839	-
სულ გრძელვადიანი ინვესტიცია				**9,839**	-

კომპანიამ შეიძინა სუბიექტ სს თიბისი ბანკ ჯორჯიას მიერ გამოშვებული კორპორატიული ობლიგაცია. კორპორატიული ობლიგაცია შეძენილ იქნა 36 ათასი აშშ დოლარის ფასდაკლებით, ხოლო ვადის მოსვლისას მიღებულ იქნება ნომინალური თანხა 3,456 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. კორპორატიულ ობლიგაციებს კომპანიას ფლობს ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია შეაგროვოს მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც ცალსახად წარმოადგენს ძირითადი თანხის და მასზე რიცხული დაუფარავი პროცენტის ანგარიშსწორებას. ამრიგად, კორპორატიული ობლიგაციები კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით.

ნაშთი არ არის დაგვიანებული და მიღებულ უნდა იქნეს ბანკისგან Fitch Ratings-ის მიერ შეფასებული BB-ით (გრძელვადიანი რეიტინგით), შესაბამისად, დანაკლისის აღიარება არ ხდება ბალანსზე.

10. უფლებით სარგებლობის აქტივები და საიჯარო პასუხისმგებლობა

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, უფლებით სარგებლობის აქტივების ნაშთები შემდეგნაირი სახით იყო წარმოდგენილი:

ღირებულება	საწყობები
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	1,157
იჯარის მოდიფიკაცია	133
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**1,290**
გაუფასურება	
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	-
გაუფასურება წლის მანძილზე	(229)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**(229)**
საბალანსო ღირებულება	**1,061**

იჯარის პასუხისმგებლობის მოძრაობა 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემდეგნაირად იქნა წარმოდგენილი:

ნაშთი ვადის დასაწყისში	**2019**
პირველადი აღიარება	1,157
დამატება	133
პროცენტის ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	114
იჯარის პროცენტის დაფარვა	(114)
იჯარის ძირი თანხის დაფარვა	(178)
ნაშთი ვადის ბოლოს	**1,112**

საქართველო. ინდივიდუალური მეწარმე GEORGIA. INDIVIDUAL ENTERPRISE 01030026210

უფლებით სარგებლობის აქტივებისთვის იჯარის საშუალო შეწონილი ვადაა 5 წელი, ხოლო საშუალო შეწონილი ტარიფი მოიჯარის დამატებით სესხზე გამოიყენება საიჯარო ვალდებულებებზე და შეადგენს 10.8%.

მოგებასა და ზარალში აღიარებული თანხები

	2019
ხარჯის გაუფასურება	(229)
პროცენტის ხარჯი	(114)
მოკლე ვადიან იჯარებსა და დაბალი ღირებულების საგნებთან დაკავშირებული ხარჯი	(201)
სულ	**(544)**

საიჯარო ვალდებულება

	31 დეკემბერი 2019	
ვადამოსვლის ანალიზი	**კრედიტორული დავალიანება ფინანსური იჯარის პირობებში**	**მომავალი ფინანსური ხარჯი**
წელი 1	220	105
წელი 2	244	80
წელი 3	271	54
წელი 4	300	25
წელი 5	77	2
სულ საიჯარო ვალდებულება	**1,112**	**266**

11. ინვენტარი

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს ინვენტარი შემდეგი სახით იქნა წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მზა პროდუქტი	11,194	6,748
სხვა	43	-
სულ	**11,237**	**6,748**

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინვენტარის, მომწოდის ღირებულება შეადგენდა, შესაბამისად, 11,237 ათას ლარს და 6,748 ათას ლარს, კომპანიამ დატვირთა სესხების უზრუნველყოფის სახით (შენიშვნა 15).

12. საბაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს საბაჭრო დებიტორული დავალიანება, დაუბრუნებელ თანხაზე რეზერვის გამოკლებით, იყო შემდეგი:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშის შენიშვნები (გაგრძელება)

(მაჩვენებელი მოცემულია ლარში, ათასებში)

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	17,172	16,428
სხვა დებიტორული დავალიანება	642	265
	17,814	**16,693**
ნაკლები: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი/ რეზერვი დაუბრუნებელი თანხებისთვის	(4,047)	(3,910)
სულ	**13,767**	**12,783**

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დებიტორული სახსრები, რომელთა ღირებულება შეადგენდა, შესაბამისად, 13,767 ათას ლარს და 12,783 ათას ლარს, კომპანიამ დატვირთა სესხების უზრუნველყოფის სახით (შენიშვნა 15).

აღიარებული გაუფასურება წარმოადგენს სხვაობას ამ სავაჭრო დებიტორული დავალიანების ღირებულებასა და მოსალოდნელი სალიკვიდაციო შემოსავლების მიმდინარე ღირებულებას შორის. კომპანია არ ფლობს რაიმე უზრუნველყოფას ამ ნაშთებზე. საკრედიტო რისკის კონცენტრაცია შეზღუდულია იმის გამო, რომ მომხმარებელთა ბაზა დიდია და არ არის დაკავშირებული.

ვაჭრობისა და სხვა დებიტორული სახსრების ანალიზით ნაჩვენები იქნა შემდეგი:

31 დეკემბერი 2019 (ლარი'000)	არ არის ვადა-გადაცდენილი	- 30 დღეზე ნაკლები ვადა-გადაცილება	- 32–დან 60 დღემდე ვადა-გადაცილება	- 61–დან 90 დღემდე ვადა-გადაცილება	- 90 დღეზე მეტით ვადა-გადაცილება	სულ
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	12,242	724	1,125	435	3,288	**17,814**
ვალდებულების შეუსრულებლობისას მუდმივი ECL	(245)	(72)	(225)	(217)	(3,288)	**(4,047)**

31 დეკემბერი 2018 (ლარი'000)	არ არის ვადა-გადაცდენილი	- 30 დღეზე ნაკლები ვადა-გადაცილება	- 32–დან 60 დღემდე ვადა-გადაცილება	- 61–დან 90 დღემდე ვადა-გადაცილება	- 90 დღეზე მეტით ვადა-გადაცილება	სულ
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	10,598	1,207	892	1,195	2,801	**16,693**
ვალდებულების						

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშის შენიშვნები (გაგრძელება)
(მაჩვენებელი მოცემულია ლარში, ათასებში)

შეუსრულებლობისა ს						
მუდმივი ECL	(212)	(121)	(178)	(598)	(2,801)	**(3,910)**

კომპანია ყოველთვის ზომავს ვაჭრობისა და სხვა დებიტორული დავალიანების ზარალის რეზერვს ECL–ის ტოლი ოდენობით. სავაჭრო დებიტორულ სახსრებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენა ხდება მოვალის ადრინდელი დეფოლტის შემთხვევის გათვალისწინებით და მისი (მოვალის) მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის ანალიზით, მოვალისთვის სპეციფიკური ფაქტორების მხედველობაში მიღებით, ინდუსტრიის იმ ზოგადი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, სადაც მოვალეები საქმიანობენ და როგორც მიმდინარე, ისე პირობების საპროგნოზო მიმართულებების შეფასებით საანგარიშო თარიღისთვის. კომპანიამ აღიარა 100 პროცენტიანი ზარალის ანაზღაურება ყველა დებიტორული დავალიანების კუთხით გასული 90 დღის განმავლობაში, რადგან ისტორიულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეს დებიტორული დავალიანება, ზოგადად, არ ანაზღაურდება.
კომპანია ჩამოწერს სავაჭრო დავალიანებას, როდესაც არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოვალეს შეექმნა მძიმე ფინანსური ვითარება და არ არსებობს მისი გამოსწორების რეალური პერსპექტივა.
ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ECL–ის მოძრაობა, რომელიც აღიარებულია სავაჭრო დებიტორული სესხებისთვის, ფასს 9–ით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომის შესაბამისად.

2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის ბოლოსთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მოძრაობა შემდეგნაირია:

	საკრედიტო ზარალის მოსალოდნელი მოძრაობა
ნაშთი 2018 წლის 1–ლ იანვარს	**3,527**
გაუფასურების რეზერვი / (რეზერვის აღდგენა)	867
ჩამოწერილი თანხა	(484)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**3,910**
გაუფასურების რეზერვი / (რეზერვის აღდგენა)	769

თარგმანი დედანთან სწორია: წინო თოლორაია/

ჩამოწერილი თანხა	(632)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**4,679**

2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების მთლიან სავალუტო ღირებულებებში შესაბამისი მოძრაობები შემდეგნაირია:

	მთლიანი საბალანსო თანხის მოძრაობა
ნაშთი 2018 წლის 1–ლი იანვარს	**18,244**
ახალი სავაჭრო და სხვა დავალიანების	12,910
დაფარვა	(13,914)
ჩამოწერილი თანხა	(547)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**16,693**
ახალი სავაჭრო და სხვა დავალიანების	3,596
დაფარვა	(1,843)
ჩამოწერილი თანხა	(632)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**17,814**

13. ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს ფულადი სახსრები და ეკვივალენტები შემდეგი სახით იქნა წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაღდი ფული ხელზე	3	50
ნაღდი ფული ბანკში	1,592	1,134
სულ	**1,595**	**1,184**

ბანკების ანგარიშზე არ ისახება ვადაგასული ნაშთი. მოკლევადიანი ბუნების გამო ბანკებში ნაშთებისთვის არ არის აღიარებული ზარალი. საბანკო ნაშთები მოიცავს

თარგმანი დედანთან სწორია:

საქართველოში ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებს, რომლებიც გამოიყენება კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მიზნით.

რაც შეეხება 2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიის ბანკებში ფულადი სახსრების უმეტესი ნაწილი Fitch Ratings- ის მიერ შეფასებულია, როგორც B (მოკლევადიანი რეიტინგი), BB- (გრძელვადიანი რეიტინგი).

14. საწესდებო კაპიტალი

2019 წლის და 2018 წლის განმავლობაში კომპანიის აქციონერთა მიერ განხორციელებულ იქნა შენატანი საწესდებო კაპიტალში – შესაბამისად 12,632 ლარისა და 1,650 ათასი ლარის ოდენობით.

2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის საწესდებო და გადახდილი კაპიტალი შეადგენდა 15,584 ათას ლარს და 2,952 ათას ლარს.

15. კრედიტები

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს სესხები წარმოდგენილ იქნა შემდეგი სახით:

	CCY	ვადამოსვლა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
უზრუნველყოფილი სესხები და კრედიტები:				
სს თი ბი სი ბანკი	ლარი	ნოემბ–20	16,763	16,879
სს თი ბი სი ბანკი	ლარი	იანვ–20	10,194	-
არა-უზრუნველყოფილი სესხები და კრედიტები:				
შპს საქართველოს დისტრიბუცია-მარკეტინგის კომპანია	ლარი	მარტი–20	19	2,419
სულ სესხები და კრედიტები			**26,976**	**19,298**
მოკლევადიანი სესხები და კრედიტები			26,976	19,298
გრძელვადიანი სესხები და კრედიტები			-	-
			26,976	**19,298**

სესხები "თიბისი ბანკი"-საგან უზრუნველყოფილ იქნა კომპანიის ინვენტარის, ქონების, დანადგარების და აღჭურვილობის და დებიტორული სავაჭრო დავალიანების უზრუნველყოფით.

სესხების დაფარვა მოხდება შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
დასაფარი ერთ თვეში	9,910	2,431
დასაფარი ერთიდან სამ თვეში	8,760	-
დასაფარი სამიდან თორმეტ თვეში	8,306	16,867
სულ სესხები და კრედიტები	**26,976**	**19,298**

სესხების მოძრაობა 2019 წლის 31 დეკემბერსა და 2018 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	წელი 2019	წელი 2018
წმინდა სესხი ვადის დასაწყისში	**19,298**	**14,597**
ძირითადი დამატება		
დარიცხული პროცენტი	81,211	68,685
გადახდილი ძირი	1,802	1,304
გადახდილი პროცენტი	(73,634)	(64,043)
	(1,701)	(1,245)
წმინდა სესხი ვადის ბოლოს	**26,976**	**19,298**

სესხების მოძრაობა დაკავშირებულია საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანხების მოკლევადიან ანაზღაურებებსა და დაფარვებთან, რომელიც ბანკებთან არის შეთანხმებული კომპანიის საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად.

16. სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანება

სავაჭრო და სხვა საკრედიტო დავალიანება, რომლებიც გადასახდელია 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, შემდეგნაირი სახით იქნა წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო საკრედიტო დავალიანება სასაქონლო–მატერიალური რეზერვისთვის	674	3,032
სავაჭრო საკრედიტო დავალიანება მომსახურებისთვის	316	505
სხვა გადასახდელი	93	82
სულ	**1,083**	**3,619**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი გადასახდელების 84% კონცენტრირებულია ერთ მომწოდებელ კომპანიაში – შპს GD Group–ში, რომელიც წარმოადგენს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ იურიდიულ პირს.

17. ფინანსური ინსტრუმენტები

სამართლიანი ღირებულების შეფასების ანალიზი ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეზე შემდეგნაირად: (i) პირველი დონე არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე ქვოტირებული ფასების (დაუკორექტირებელი) გაზომვები, (ii) მეორე დონის გაზომვები არის შეფასების მეთოდები ყველა არსებითი ამოსავალი მონაცემებით, რომლებიც ვლინდება აქტივებსა და ვალდებულებებში უშუალოდ (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირი გზით (ანუ, ფასებიდან გამომდინარე), და (iii) მესამე დონის გაზომვები არის შეფასებები, რომლებიც არ ეყრდნობა ბაზრის მონაცემებს (შეუმჩნეველი მონაცემები). მენეჯმენტი გადაწყვეტილებას ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციის საკითხზე იღებს სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით. თუ სამართლიანი ღირებულების გაზომვა იყენებს ხილვად მონაცემებს, რომლებიც მნიშვნელოვან კორექტირებას საჭიროებენ, მაშინ ეს გაზომვა იქნება მესამე დონის გაზომვა. შეფასების მნიშვნელობა ფასდება რეალური ღირებულების გაზომვით მთლიანობაში.

ფინანსური აქტივები, რომლებიც ჩათვლილია ამორტიზაციის ღირებულებით. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება დაფუძნებულია სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ფასებზე, რომლებიც მიღებულ უნდა იქნეს ფასდაკლებით და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით იმავე საკრედიტო რისკის მქონე ინსტრუმენტებისთვის და დარჩენილი დაფარვის ვადით. გამოყენებული ფასდაკლებით განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანებების და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მიახლოებით იგივეა, რაც სამართლიანი ღირებულება – დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე. გრძელვადიანი ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება შეადგენს 9,778 ათას ლარს.

ვალდებულებების საამორტიზაციო ღირებულება. ინსტრუმენტების ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის სავარაუდო სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდა მოსალოდნელი ფულადი ნაკადის დისკონტირებაზე დაყრდნობით და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით იმავე საკრედიტო რისკის მქონე ინსტრუმენტებისთვის და დარჩენილი დაფარვის ვადით. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფინანსურ ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომელიც ისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს.
ფულისა და ნაღდი ფულადი ეკვივალენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა პირველი დონის გაზომვით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა 3–ე დონის გაზომვის გამოყენებით.

კაპიტალის რისკის მენეჯმენტი – კომპანია მართავს საკუთარ კაპიტალს იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესძლოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელება და, ამავდროულად, ამონაგების მაქსიმალურად გაზრდა კაპიტალში სესხის და კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზაციით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ამ განხილვების შედეგებიდან გამომდინარე, კომპანია გარკვეულ ნაბიჯებს დგამს მისი კაპიტალის მთლიანი სტრუქტურის დაბალანსების მიზნით დივიდენდების გადახდის გზით, ასევე ახალი სესხებისა და კრედიტების აღების გზით ან არსებული სესხებისა და კრედიტების გამოსყიდვის გზით.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს საკუთარი და სასესხო კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი ასეთი იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სესხები	26,976	19,298
ნაღდი ფული და ეკვივალენტები	(1,595)	(1,184)
წმინდა სესხები	25,381	18,114

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშის შენიშვნები (გაგრძელება)
(მაჩვენებელი მოცემულია ლარში, ათასებში)

კაპიტალი	9,217	(2,952)
წმინდა ვალი კაპიტალში	2.75	(6.14)

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები – კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და კრედიტებს, სავაჭრო და სხვა გადასახდელ თანხებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ოპერაციებისთვის დაფინანსების გაზრდა. კომპანიას აქვს სხვადასხვა ფინანსური აქტივები, როგორიცაა სავაჭრო და სხვა დებიტორული და ფულადი სახსრები და ექვივალენტები.

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური აქტივები		
გრძელვადიანი ინვესტიცია	9,839	-
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	13,767	12,783
ნაღდი ფული და ექვივალენტები	1,595	1,184
სულ ფინანსური აქტივები	**25,201**	**13,967**

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	1,112	-
სესხები	26,976	19,298
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,083	3,619
სულ ფინანსური ვალდებულებები	**29,171**	**22,917**

კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტებიდან გამომდინარე ძირითადი რისკებია უცხოური ვალუტის, საპროცენტო ტარიფის, კრედიტის და ლიკვიდურობის რისკები.

გეოგრაფიული რისკი. კომპანიის აქტივები მდებარეობს საქართველოში და მისი ბიზნეს პროცესები კრიტიკულად არის დამოკიდებული ქვეყანაში სტაბილურობასა და კანონის უზენაესობაზე. საქართველო აგრძელებს განვითარებადი ბაზრის გარკვეული

მახასიათებლების დემონსტრირებას. როგორც ასეთი, კომპანიაზე ზეგავლენას ა
ქვეყნის შიგნით ბიზნესის ან სამართლებრივი გარემოს გაუარესება.

უცხოური ვალუტის რისკი – ვალუტის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანიის ფინა
შედეგებზე უარყოფით ზემოქმედებას იწვევს იმ კურსის ცვლილება, რომელსაც კომ
ექვემდებარება. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვ
ოპერაციებს. კომპანია არ იყენებს რომელიმე წარმოებულს უცხოური ვალუტის რი
ზემოქმედების მართვისთვის.

კომპანიის უცხოური ვალუტის აღრიცხული ფულადი აქტივები და ვალდებულებ
როგორც 2019 წლის 31 დეკემბერს, ისე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობ
წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018	
	აშშ დოლარი 1 = 2.8677 ლარი	ევრო 1 = 3.2095 ლარი	აშშ დოლარი 1 = 2.6766 ლარი	ევრო 1 = 3.0701 ლარი
ფინანსური აქტივები				
გრძელვადიანი ინვესტიცია	9,839	-		
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	-	174	11	152
ნაღდი ფული და ექვივალენტები	-	843	-	2
სულ ფინანსური აქტივები	**9,839**	**1,017**	**11**	**154**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა გადასახდელი	(18)	(664)	(3,009)	(22)
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(18)**	**(664)**	**(3,009)**	**(22)**
სულ წმინდა პოზიცია	**9,821**	**353**	**(2,998)**	**132**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშის შენიშვნები (გაგრძელება)
(მაჩვენებელი მოცემულია ლარში, ათასებში)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ფუნქციონალური ვალუტების გამყარების/გაუფასურებისადმი 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 20% -ით.

2019 წლის 31 დეკემბერს	აშშ დოლარი ზეგავლენა		ევრო ზეგავლენა	
	ლარი/აშშ დოლარი + 20%	ლარი/აშშ დოლარი - 20%	ლარი/ევრო + 20%	ლარი/ევრო - 20%
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე	1,964	(1,964)	70	(70)

2018 წლის 31 დეკემბერს	აშშ დოლარი ზეგავლენა		ევრო ზეგავლენა	
	ლარი/აშშ დოლარი + 20%	ლარი/აშშ დოლარი - 20%	ლარი/ევრო + 20%	ლარი/ევრო - 20%
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე	(600)	600	26	(26)

საპროცენტო განაკვეთის რისკი – საპროცენტო განაკვეთის რისკი არის ის რისკი, რომელიც მცურავი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისას უარყოფითად მოქმედებს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკის ზემოქმედება შეზღუდულია, რადგან კომპანიას თანხები ნასესხები აქვს მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით.

<u>სენსიტიურობის ანალიზის ფარგლები</u>

ზემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია ძირითადი დაშვებების ცვლილების ეფექტი, ხოლო სხვა დაშვებები უცვლელია. სინამდვილეში, არსებობს კორელაცია ვარაუდებსა და სხვა ფაქტორებს შორის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს სენსიტიურობები არის არაწრფივი, და უფრო დიდი ან მცირე ზომის ზემოქმედება არ უნდა იყოს ინტერპოლარიზირებული ან ექსტრაპოლარიზირებული ამ შედეგებისგან.

სენსიტიურობის ანალიზში არ არის გათვალისწინებული, რომ კომპანიის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. გარდა ამისა, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება განსხვავდებოდეს იმ დროს, როდესაც ადგილი აქვს რაიმე რეალური საბაზრო მოძრაობას. მაგალითად, კომპანიის ფინანსური რისკების მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს ბაზრის რყევებზე ზემოქმედების მართვას. იქიდან გამომდინარე, რომ ინვესტიციის ბაზრები გადაადგილდებიან სხვადასხვა დონეზე,

მენეჯმენტის ქმედებები შეიძლება შეიცავდეს ინვესტიციების გაყიდვას, ინვესტიციის პორტფელის განაწილების შეცვლას და სხვა დამცავი მოქმედებების განხორციელებას. შესაბამისად, დაშვებებში ცვლილების ფაქტობრივმა გავლენამ შეიძლება ზეგავლენა ვერ მოახდინოს ვალდებულებებზე, მაშინ როდესაც აქტივები საბაზრო ღირებულებით ირიცხება ბალანსზე. ასეთ გარემოებებში, ვალდებულებებისა და აქტივების სხვადასხვა საზომი საფუძველი შეიძლება გახდეს კაპიტალში ცვალებადობის მიზეზი.

ზემოთ ჩამოთვლილი სენსიტიურობის ანალიზებში სხვა შეზღუდვები მოიცავს ჰიპოთეტური ბაზრის გადაადგილების გამოყენებას პოტენციური რისკის დასამტკიცებლად, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ კომპანიის თვალსაზრისს ბაზრის შესაძლო ახლო დროში ცვლილებების შესახებ და რომლის წინასწარ განსაზღვრაც შეუძლებელია; ასევე, ეს შეიძლება იყოს დაშვება, რომლის მიხედვითაც ყველა საპროცენტო განაკვეთი იდენტურია.

საკრედიტო რისკი. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს სრულად გადაიხადოს დასაფარი თანხა.

დებიტორული დავალიანების, გრძელვადიანი ინვესტიციის და ფულადი სახსრების თუ ფულადი ეკვივალენტების ჯამური ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკზე ზემოქმედების მაქსიმალურ რაოდენობას; მიუხედავად იმისა, რომ დებიტორულ დავალიანებაზე და გრძელვადიან ინვესტიციებზე შეიძლება გავლენა იქონიოს ეკონომიკურმა ფაქტორებმა, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ არსებობს კომპანიისთვის ზარალის მიმართ მნიშვნელოვანი რისკი უკვე დაფიქსირებულ პირობებს მიღმა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ შესძლებს შეასრულოს ყველა ვალდებულება მათი ვადამოსვლის დროისთვის. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში დეტალურად არის ნაჩვენები კომპანიის დარჩენილი საკონტრაქტო ვადამოსვლა მისი არა-დერივატიული ფინანსური ვალდებულებებისთვის შეთანხმებული დაფარვის ვადით – 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლისთვის. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არა-დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, ადრეული თარიღის მიხედვით, როდესაც კომპანიას შეიძლია მოეთხოვოს გადახდა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშის შენიშვნები (გაგრძელება)
(მაჩვენებელი მოცემულია ლარში, ათასებში)

31 დეკემბერი 2019	1 თვეზე ნაკლები	1 - 3 თვე	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წელი	5+ წელი	სულ
საიჯარო ვალდებულება	27	54	243	788		1,112
სესხები	9,910	8,760	8,306	-	-	26,976
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	464	456	163	-	-	1,083
	10,401	9,270	8,712	788	-	29,171

31 დეკემბერი 2018	1 თვეზე ნაკლები	1 - 3 თვე	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წელი	5+ წელი	სულ
სესხები	2,431	-	16,867	-	-	19,298
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2,187	1,121	311	-	-	3,619
	4,618	1,121	17,178	-	-	22,917

18. დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები

დაკავშირებულ მხარეებში შედიან მფლობელები, შვილობილი კომპანიები და პირები, რომლებიც კომპანიის საერთო საკუთრებასა და კონტროლის ქვეშ იმყოფებიან, ასევე, მთავარი ხელმძღვანელი პერსონალის წევრები. დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ დადონ გარიგებები, რომლებიც არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, და დაკავშირებულ მხარეთა შორის ოპერაციები არ შეიძლება განხორციელდეს იმავე პირობებით და შეთანხმებებით, როგორითაც დაუკავშირებელ მხარეთა შორის ხორციელდება.

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება გამახვილებულია ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე. კომპანიას დაკავშირებული მხარეებთან აღენიშნებოდა შემდეგი ნაშთები:

INDIVIDUAL ENTERPRISE 01930026210

თარგმანი დიდანთან სწორია: /ნინო თოდრია/

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშის შენიშვნები (გაგრძელება)

(მაჩვენებელი მოცემულია ლარში, ათასებში)

	31 დეკემბერი 2019			
	მფლობელი	საერთო კონტროლს ქვეშ არსებული სუბიექტები	სხვა	სულ
სესხები	-	19	-	19
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	200	6,717	3	6,920
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-	3,047	-	3,047
შემოსავალი დისტრიბუციის ხარჯები	23	24,267	9	24,299
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	4,487	-	4,487
დაფინანსების ღირებულება	-	88	-	88
სხვა შემოსავალი	-	285	-	285
სხვა ხარჯი	-	64	-	64
სავალუტო მოგება, წმინდა	-	4	-	4
	-	55	-	55

	31 დეკემბერი 2018			
	მფლობელი	საერთო კონტროლს ქვეშ არსებული სუბიექტები	სხვა	სულ
სესხები	-	2,419	-	2,419
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	54	5,095	9	5,158
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-	3,047	-	3,047
შემოსავალი დისტრიბუციის ხარჯები	3	17,169	7	17,179
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	2,997	-	2,997
დაფინანსების ღირებულება	-	89	-	89
სხვა შემოსავალი	-	129	-	129
სხვა ხარჯი	-	410	-	410
სავალუტო მოგება, წმინდა	-	67	-	67
	-	128	-	128

2019 წლის 31 დეკემბრითა და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის საკვანძო ხელმძღვანელი თანამშრომლების მოკლევადიანი დასაქმების ანაზღაურება შესაბამისად შეადგენდა 286 ათას ლარს და 359 ათას ლარს.

INDIVIDUAL ENTERPRISE 01030026210

19. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები

ვალდებულებები - კომპანიას არ გააჩნდა მატერიალური ვალდებულებები 2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სასამართლო წარმოება. 2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვანი სასამართლო განხილვის პროცესში. ხელმძღვანელობას მიაჩნია, ადგილი არ ექნება რაიმე არსებითი დაუფარავი ზარალის წარმოშობას და, შესაბამისად, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში არ იქნა გათვალისწინებული რაიმე რეზერვი.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობამ კონკრეტულად შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციები და ცვლილებები. ამასთან, რადგანაც ხელმძღვანელობის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოს ინტერპრეტაციისგან, გარიგებები შეიძლება გაასაჩივროს საგადასახადო ორგანოებმა, და შედეგად კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. კომპანიაში თვლიან, რომ მას უკვე შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო დაფარვა და, შესაბამისად, ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ განხორციელებულა ფასდაკლება. 2019 წელი საგადასახადო ორგანოების განსახილველად რჩება ღიად.

საოპერაციო გარემო - განვითარებადი ბაზრები, როგორიცაა საქართველო, გაცილებით განიცდის სხვადასხვა რისკების ზეგავლენას, ვიდრე უფრო განვითარებული ბაზრები; ეს მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ და იურიდიულ და საკანონმდებლო რისკებს. კანონები და დებულებები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესზე, კვლავაც სწრაფად განიცდის ევოლუციას საგადასახადო და მარეგულირებელ ჩარჩოებში, რომლებიც სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით წარმოჩინდება. საქართველოს ეკონომიკის სამომავლო მიმართულებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებულ ფისკალური და ფულადი პოლიტიკა, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

წინა წლის მანძილზე საქართველოში განხორციელდა არაერთი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც მეტწილად უკავშირდება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გეგმას. მიუხედავად იმისა, რომ 2019 და 2018 წლებში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გზა გაკვალა, კიდევ უფრო მეტის მოლოდინი უნდა გვქონდეს, რადგანაც ევროკავშირში გაწევრიანების მისაღწევად საქართველოს სამოქმედო გეგმა აგრძელებს განვითარებას.

გარდა ამისა, 2020 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, კორონა ვირუსული ახალი დაავადება (COVID-19) სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში, რასაც შედეგად მოჰყვა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 2020 წლის მარტში პანდემიის გამოცხადება. მრავალი ქვეყნის მიერ განხორციელებულ რეაგირების ზომებს COVID-19– ის გავრცელების მიმართ შედეგად მოჰყვა უამრავი კომპანიისთვის მნიშვნელოვანი ოპერაციების მოშლა და ამან მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. სიტუაცია სწრაფად ვითარდება და ამან შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მრავალი კომპანიის ბიზნეს სექტორის ფართო სპექტრზე, მათ შორის (და არა მხოლოდ), შეიძლება დავდგეთ ისეთი სახის გამოწვევების წინაშე, როგორიცაა ბიზნეს ოპერაციების შეფერხება წარმოების ან ობიექტების დახურვის შედეგად, მიწოდების ჯაჭვის წყვეტა, პერსონალის კარანტინები, შემცირებული მოთხოვნა და დაფინანსების ზრდის სირთულეები. ამასთან, კომპანიამ შეიძლება დადგეს COVID-19 უფრო და უფრო მასშტაბური გამოწვევის წინაშე გლობალურ ეკონომიკასა და მთავარ ფინანსურ ბაზრებზე მისი უარყოფითი ზეგავლენის შედეგად. COVID-19– ის ზეგავლენის მნიშვნელობა კომპანიის ბიზნესზე დიდწილად დამოკიდებულია პანდემიის მოქმედების ხანგრძლივობასა და შემთხვევათა რიცხოვნობის ზრდაზე მსოფლიო და საქართველოს ეკონომიკის მასშტაბით.

20. ვითარება საანგარიშო პერიოდის შემდეგ

2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსის მიზეზით გამოწვეული რესპირატორული დაავადებების გავრცელების ფაქტი "პანდემიად" გამოაცხადა. პირველად 2019 წლის ბოლოს გამოვლენილი და ახლა უკვე COVID-19- ის სახელით არის ცნობილმა ამ მოვლენამ მსოფლიოში ათასობით ადამიანი დააზარალა. ამის საპასუხოდ, მრავალმა ქვეყანამ მიიღო გარკვეული ზომები მასთან საბრძოლველად, რაც ზეგავლენას ახდენს გლობალურ ბიზნეს ოპერაციებზე. ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანიის ოპერაციებს უკვე ჰქონდათ მიღებული გარკვეული დარტყმა; ამასთან, კომპანია აგრძელებს სიტუაციის მონიტორინგს და მიმართავს გარკვეულ პრევენციულ ზომებს საკუთარი კაპიტალის მდგომარეობის დასაცავად. მომავლის გაუარესებულმა პერსპექტივამ გამოიწვია მომდევნო წლის ბოლოსთვის სავალუტო ბაზრის არამდგრადობა, რაც გამოიხატა მნიშვნელოვნად გაუფასურებულ ლარში დოლართან მიმართებით.

COVID-19-ის პანდემიამ იმოქმედა კომპანიის კლიენტთა ბაზაზე და კომპანიის ხარჯების სტრუქტურაზე და შედეგად კომპანიამ მიიღო შემოსავლის ორმოცდაათი პროცენტიანი

შემცირება მარტი-მაისის განმავლობაში. კომპანიამ გაზარდა გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი თავისი ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, შეამცირა ახალი შესყიდვები და გადახდები, მისცა რა შესაძლებლობა არსებულ ჩაკეტილ მომხმარებელს დაებრუნებინა ნაყიდი საქონელი, რომელიც მან (კომპანიამ) უკვე არსებული მომხმარებლების მომსახურებისთვის გამოიყენა. მთლიანმა თანხამ შეადგინა 481 ათასი ლარი. ივნისიდან მოყოლებული, კომპანიამ დაიწყო COVID 19 –ის სიტუაციიდან გამოჯანმრთელება.

ამასთან, 2020 წლის 6 აპრილს კომპანიამ აქციონერთაგან მიიღო დამატებითი შენატანი კაპიტალში 1,575 ათასი ლარის ოდენობით.

21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგებები დამტკიცებულ იქნა დირექტორთა საბჭოს მიერ და მისი გამოცემა სანქცირებულ იქნა 2020 წლის 24 ივლისს.

ნინო თოდრია/

საწარმოს ბიზნესის განვითარება, ეფექტურობა და პოზიციები

შპს GD Alco ("კომპანია") წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა საქართველოში 2004 წლის 8 დეკემბერს; მისი მიზანია საქართველოში ალკოჰოლური სასმელების დისტრიბუცია. იგი ქართულ ბაზარზე ალკოჰოლური სასმელების ერთ-ერთი უდიდესი სადისტრიბუციო კომპანიაა.

კომპანია სხვადასხვა რეგიონში ხუთ საწყობს ქირაობს სუპერმარკეტების, სასურსათო მაღაზიების, აგრეთვე დიდი ჰიპერმარკეტების და საბითუმო მაღაზიებისთვის საქონლის მიწოდების მიზნით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

კომპანიას 16 წლიანი გამოცდილება აქვს და წარმოადგენს წამყვან კომპანიას Premium Spirits ალკოჰოლური სასმელების ბიზნესში საქართველოში. 2019 წელს კომპანიამ 43,443 ათასი ლარის შემოსავალი დააფიქსირა. მთლიანი მოგების მარჟა 2019 წელს შეადგენდა 22%-ს, დასაქმებულთა რაოდენობა - 156 ადამიანს.

კომპანიის სტრატეგია:

• GD ALCO გააგრძელებს საქართველოში წამყვან სადისტრიბუციო კომპანიების რიგში არსებობას და მუდმივად ცდილობს მომხმარებელთა და თანამშრომელთა მოთხოვნათა სრულყოფილად დაკმაყოფილებას;

• იგი აწვდის მაქსიმალური მაღალი ხარისხის დამატებით ღირებულების სერვისებს ჩვენს მომწოდებლებსა და სავაჭრო პარტნიორებს თანამედროვე სადისტრიბუციო სისტემების და ინფრასტრუქტურის ინვესტიციისა და განვითარების გზით.

• იგი წამყვანია კატეგორიაში პორტფელის გაფართოების და ზრდის ახალი შესაძლებლობების დადგენის მეშვეობით.

• აძლიერებს ჩვენს პორტფოლიოს უმაღლესი მარკეტინგის და სავაჭრო-მარკეტინგული მომსახურების მიწოდებით

• აფასებს და მხარს უჭერს თანამშრომლებს, უზრუნველყოფს აუცილებელ რესურსებს მათი პროფესიული ზრდისა და განვითარების ხელშესაწყობად, იზიდავს სხვადასხვა გამოცდილების მქონე ახალ ტალანტებს, ჰქმნის სამუშაო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდუალურ დისციპლინასა და გუნდურ მუშაობას.

• ხელს უწყობს ადგილობრივი სავაჭრო პარტნიორების განვითარებას.

საწარმოს სამომავლო განვითარების გეგმები

Covid 19 პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე და კონკრეტულ ქვეყნებზე; მომავლის გაუარესებულმა პერსპექტივამ შემდგომი წლის ბოლოსთვის გამოიწვია საბალუტო ბაზრის

არამდგრადობა, რაც აისახა მნიშვნელოვნად შესუსტებულ ლარში დოლართან მიმართებით. კომპანია გეგმავს განიხილოს ყველა რეკომენდაცია და საკანონმდებლო მოთხოვნები, რათა უზრუნველყოს თავისი ოპერაციების სანქცირება.
2020 წელს კომპანია გეგმავს რამდენიმე პროექტის განხორციელებას, მათ შორისაა:
• გაყიდვების ავტომატიზაციის სისტემის დანერგვა
• სავაჭრო მარკეტინგის ავტომატიზაციის სისტემის დანერგვა
• ახალი ბრენდების ჩაშვება და სასაწყობო ერთეულების ასორტიმენტის გაზრდა არსებულ პორტფოლიოში
• ალკოჰოლის ნიშური კატეგორიების განვითარების მხარდაჭერა
• კლიენტთა და მომხმარებელთა საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდება
• On & Off სავაჭრო პარტნიორების განვითარების ხელშეწყობა
• ახალი კატეგორიის განვითარების არხების შექმნა კორპორატიული გაყიდვებისა და ელექტრონული კომერციის საშუალებით

საწარმოს მიერ ჩატარებული კვლევებისა და შემუშავებების მიმოხილვა

ჩვენი გუნდის მიერ ჩატარებულ იქნა რამდენიმე ადგილობრივი კვლევითი პროექტი „პრემიუმ სპირიტის“ (premium spirits) კატეგორიაში. გარდა ამისა, კომპანია მონაწილეობს ალკოჰოლური სასმელების გლობალურ კვლევაში, რომელსაც IWSR აწარმოებს.

ინფორმაცია ფილიალების შესახებ

კომპანიას არ აქვს იურიდიული ფილიალი.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2019 წელს კომპანიის მიერ ადგილი არ ჰქონია საკუთარი აქციების შესყიდვას.

საკვანძო არა–ფინანსური ინდიკატორის ანალიზები შემდეგია:

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

/ნინო თოდრია/

		2019	2018
1	შემოსავალი	43,443	37,884
2	მთლიანი მოგება	9,578	6,780
3	ზარალი საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრამდე	(85)	(3,593)
4	მთლიანი საერთო შემოსავლის მარჟა	22%	18%

აქტუალურობის სხვა ინდიკატორები შემდეგია:

		2019	2018
1	პროდუქტების რაოდენობა პორტფოლიოში (საშუალო)	146	113
2	პერსონალის რაოდენობა (საშუალო)	156	165
3	აქტიური მომხმარებლების რაოდენობა (საშუალო)	1,600	2,300

საწარმოს კრედიტის, ბაზრის, ლიკვიდურობისა და ფულადი სახსრების რისკების და მექანიზმების მიმოხილვა მათი მართვის მიზნით

კომპანიის გაყიდვების უმეტესობა ხორციელდება კრედიტით. საკრედიტო ვადები მომხმარებლებთან მერყეობს 21-დან 60 დღემდე. არსებობს ხანდაზმული დებიტორული საგადასახადო ნაშთები, რომლებიც იქმნება კომპანიის ვადაგასული დებიტორული დავალიანების რეზერვირების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მომწოდებლებთან საკრედიტო ვადები მერყეობს 0-დან 60 დღემდე, მაგრამ, როგორც წესი, მომწოდებლებთან მოქმედებს წიმსწრები დაფვარვის მექანიზმი. პრემიუმ კლასის კატეგორია შედარებით ნელია. გარდა ამისა, კომპანია პორტფოლიოში ინახავს სხვადასხვა ნიშების პროდუქტებს, რათა დააკმაყოფილოს მომწოდებლები და მომხმარებლები – ძირითადად HoReCa სექტორიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიამ წლების განმავლობაში დააგროვა რეზერვები რამდენიმე პროდუქტზე. კომპანია მუდმივად ავლენს ასეთ ნელ მოძრაობებს და იწყებს სხვადასხვა სავაჭრო კამპანიებს მათი განტვირთვის მიზნით, რათა მოხდეს მთლიანი ლიკვიდურობის მართვა.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, საწარმოს მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკების მართვის თვალსაზრისით

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები დაკავშირებულია შემდეგთან:

	რისკისა და გაურკვევლობის განმარტება	ხელმძღვანელობის რეაგირება
1	სავალუტო რისკი - საქონლის შესყიდვების ძირითადი ნაწილი უცხოურ ვალუტაში ხორციელდება, თუმცა, გაყიდვები ხორციელდება ადგილობრივ ვალუტაში. ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო არსებობს პოტენციური ზარალის რისკი. ამ ფაქტის გამო, ფასების კორექტირება ასევე წარმოადგენს პრობლემას	2019 წლის მეორე ნახევარში კომპანიამ მოახერხა მოლაპარაკებოდა მომწოდებლებს დამატებითი საკრედიტო პირობებზე, ასევე, ანგარიშსწორების თარიღის Q1 2020 წლის Q1 ბოლომდე გადავადების თაობაზე, როდესაც FX განაკვეთები უფრო ხელსაყრელი იქნება
2	პოლიტიკური რისკები - არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს პროდუქციის მოთხოვნაზე, შემოსავლებზე და მომგებიანობაზე.	მენეჯმენტი ყურადღებით აკონტროლებს პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა გააკეთოს პოტენციური განვითარების პროგნოზი და განახორციელოს აუცილებელო და ადეკვატურო ცვლილებებს.
3	რეგულირების რისკი - ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სააქციზო გადასახადი მნიშვნელოვნად გაიზარდა და ალკოჰოლური სასმელების გავრცელებასა და პოპულარიზაციასთან დაკავშირებით მუდმივად ჩნდება შემდგომი რეგულაციების საჭიროების სიგნალები.	მდგრადი მრავალ–არხიანი ბიზნეს მოდელის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ზრდას და ცვლილების რეგულაციებთან შესაბამისობას
4	COVID 19 რისკი - საქმიანი ოპერაციების შეფერხება წარმოების შეფერხების ან ობიექტების დახურვის, მიწოდების ქსელის შეფერხებების, პერსონალის კარანტინის, შემცირებული მოთხოვნის და დაფინანსების გაზრდაში შექმნილი სირთულეების გამო.	მენეჯმენტი მიმართავს ყველა მოქმედებას და რეკომენდაციას ჯანდაცვის ორგანიზაციებისაგან, რათა უზრუნველყოს ბიზნეს–ოპერაციების შესაბამისობა COVID 19 დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებთან და კომპანიამ გააგრძელოს საქმიანობა.

თარგმანი დედანთან სწორია: /ნინო თოდრია/

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N200534135
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	10.08.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ქეთევან ძლიერიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქალაქი თბილისი, ანა კალანდაძის (ყოფილი ბულაჩაურის) ქ. №7, ბ. 28
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2373035
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	08743415710820

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მე, ქეთევან ძლიერიშვილი, ქ. თბილისის ნოტარიუსი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ანა კალანდაძის (ყოფილი ბულაჩაურის) ქ. №7, ბ. 28, ვადასტურებ თარჯიმნის ნინო თოდრიას (საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 03.02.1983წ. თბილისში, ბარათის #13IG03484, პირადი #01030026210, გაცემული 21.08.2014წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მისამართი: ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძეს ქუჩა, N 9, ბინა 13. დიპლომი B#11518 გაცემული ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, 2004წელს) ხელმოწერის ნამდვილობას. მე, ნოტარიუსმა, გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად იცის ინგლისური ენა და უზრუნველყოფს თარგმანის სისწორეს.

I, – Ketevan Dzlierishvili, the Notary in Tbilisi, in my notary bureau located at: 7 Ana Kalandadze (former Bulachauri) street, fl. 28, Tbilisi, certify authenticity of signature of interpreter Nino TODRIA (born 03.02.1983, residing: Kavtaradze str. Build. 70 Apt. 13, Tbilisi, Personal No. 01030026210, ID Card 13IG03484 issued on 21.08.2014 by Ministry of Justice, Certificate B#11518 issued in 2004 by I. Javakhishvili Tbilisi State University). I, the notary, also warned interpreter who has confirmed appropriate knowledge of English languages about his responsibility for fidelity of the translation

გადახდილია ერთი ეგზემპლარისთვის: 154.00 (ას ორმოცდათოთხმეტი) ლარი, სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურებაზე ვადების დამტკიცების შესახებ" (29.12.2011წელი, დადგენილება №507) ითით ეგზემპლარისათვის, დღგ 27.72 (ოცდაშვიდი ლარი და სამოცდათორმეტი თეთრი) ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, და 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39. თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურებაზე ვადების დამტკიცების შესახებ (29.12.2011წელი, დადგენილება №507)

Notary fee paid for one copies: 154 . 00 GEL according to the Resolution No.507 dated 29.12.2011 "On Approval of Notary Fee for Execution of the Notary Acts, Amount of Fees for the Notary Chamber of Georgia, Payment Procedures and Terms of Notary Services" plus VAT 27.72 GEL according to Article 169 of the Tax Code of Georgia, plus 2 GEL under Article 39 of the Resolution No.507 dated 29.12.2011 "On Approval of Notary Fee for Execution of the Notary Acts, Amount of Fees for the Notary Chamber of Georgia, Payment Procedures and Terms of Notary Services

ნოტარიუსი:
Notary Public

ქ. ძლიერიშვილი
K. Dzlierishvili